პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

შაბათი, 27 ივლისი, 1946 წ. № 149 (7522) ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოფლის მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, კრემლი. მის აღმატებულებას გენერალისიმუს სტალინს (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე (1-ლი გვერდი).
მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია ბ-ნ კლემენტ გოტვალდის მეთაურობით (1-ლი გვერდი).
დამსახურებული ჯილდო (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
სასტიკად დავსაჯოთ მეზახეთა მომარაგების ხელისშემშლელნი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ალიო ადამია — სიცოცხლე სჩქეფს კოლხიდაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

სოფლის მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას

დღითი დღე ფართოვდება მოსავლის აღების სამუშაოთა ფრონტი. ახალ-ახალი რაიონები, კოლმეურნეობები აჩაღებენ პურეულის მკას, ლეწვას, პირველი განალეწი მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. უკვე გამოჩნდნენ მოსავლის აღების მოწინავენი. წარჩინებულმა კომბაინერმა დეპუტატმა მ. ლაზარიაშვილმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარისა მოსავალი 300 ჰექტარზე აიღო და იკისრა პური კიდევ აიღოს 200 ჰექტარზე. ახმეტის მტს-ის კომბაინერი ბ. ნახუცრიშვილი ყოველდღიურად დაწესებული 8 ჰექტარის ნაცვლად 15-16 ჰექტარზე იღებს მოსავალს. ყვარლის მტს-ის კომბაინერები ნ. მეტრეველი და მ. მჭედლიძე დღეში 10-12, ხოლო ზოგჯერ 15 ჰექტარს მკიან. ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანის კოლმეურნეობის წევრი ხიდაშელი დღეში 1.000-ის ნაცვლად 4.000-5.000 კვადრატულ მეტრ ყანას მკის. თავდადებული შრომის მსგავსი მაგალითები უამრავია.

ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში კარგად აქვთ მოწყობილი შრომა, ძალები გონივრულად აქვთ განაწილებული, ყურადღებას აქცევენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და ჩინებულ შედეგებსაც აღწევენ. ლაგოდეხისა და ყარაიის რაიონებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება უკვე დაამთავრეს. მთავრდება მოსავლის აღება გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში. ივლისის მეოთხე ხუთდღიურში მთლიანად რესპუბლიკაში აღებულია 36 ათასი ჰექტარი მარცვლეული, მაშინ როცა მესამე ხუთდღიურში აღებული იყო 22 ათასი ჰექტარი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მოსავლის აღების საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს.

მოსავლის აღებაში მთავარია სისწრაფე, ორგანიზებულობა, რათა არ დავაგვიანოთ, მარცვალი არ ჩაცვინდეს, მინდვრად არ დარჩეს არც ერთი თავთავი აუღებელი. ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში ნელი ტემპით მკიან პურს. არც ლეწვა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. მოსავლის აღების ტემპები არასაკმაოა გორის, თბილისისა და ბაშკიჩეთის რაიონებშიც. ახმეტის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში მკა გააჭიანურეს, მარცვალი ჩაცვივდა, თავთავების შეგროვებას ყურადღება არ ექცევა. გორის რაიონის სოფელ ქვემოსკრისა და ახალხიზის კოლმეურნეობებში მომკილ ნაკვეთებში თავთავებს მთლიანად არ ჰკრეფენ. ამავე რაიონის უფლისციხის კოლმეურნეობაში თავთავებს პირუტყვი სჭამს. სიღნაღის რაიონის პოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დაუშვეს მარცვლის ჩაცვივნა. ქარელის რაიონის შუაუბნის კოლმეურნეობაში დანაკარგი ჰექტარზე ორ ცენტნერს აღემატება. წითელწყაროს რაიონის არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაზე მთლიანად არ არიან გამოყენებული შრომისუნარიანი კოლმეურნეები. სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ კვადრატულ მეტრზე შეიძლება აიკრიფოს 20-30 თავთავი. ჰექტარზე ეს, სულ ცოტა, 25 ფუთი პურის დაკარგვას ნიშნავს. მოსავლის ასაღები მანქანები ყველგან არ არის სათანადოდ გამოყენებული. ზოგჯერ კომბაინს გაკეთებული არა აქვს მარცვალმჭერი, პურს მაღლა სჭრიან, გეგმას ვერ ასრულებენ (მაგალითად, თელავის, კასპისა და წითელქალაქის მტს-ებში). ყოველივე ეს აჭიანურებს მოსავლის აღებას, ზრდის დანაკარგებს.

ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, უზრუნველყონ კომბაინების სრული დატვირთვით მუშაობა, ყველა კომბაინს გაუკეთონ მარცვალმჭერები, თვითეული შრომისუნარიანი კოლმეურნე გამოიყენონ მოსავლის აღების სამუშაოებზე, მოაწყონ თავთავების აუცილებლად შეგროვება ხელით, ფოცხებით. მარტივი მანქანებით და ხელით პურეულის მომკისთანავე საჭიროა მოეწყოს ძნებად კონვა და ბულულებად, ზვინებად, ათეულებად დადგმა, არ დავუშვათ მკის, დაზვინვის, ლეწვის და პურის სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში გადაზიდვის დაშორიშორება. ლეწვას უნდა შევუდგეთ მკის დაწყებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, გამოვიყენოთ ამისათვის ყველა მანქანა, ლეწვა ვაწარმოოთ განუწყვეტლივ მთელი დღეღამის განმავლობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღებული ნაკვეთების მიღებას კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა ჩაბარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსავლის აღების ხარისხს, არ დაუშვან თავთავის დატოვება მინდვრად.

აუცილებელია მოვაწყოთ კომბაინებიდან და სალეწი მანქანებიდან მთელი ტენიანი მარცვლეულის დაუყოვნებლივ გაშრობა კალოებზე და საშრობებში, არ დავუშვათ მარცვლეულის ზვავის ჩახურება. დანაკარგების აღკვეთის მნიშვნელოვანი პირობაა მიღებული მოსავლის აღრიცხვა მისი აღების ყოველ სტადიაში. საჭიროა ვაწარმოოთ პურეულის სავალდებულო აწონა სალეწ მანქანებთან, კომბაინებთან და ბეღლებში მისი მიღების დროს.

არ უნდა დავუშვათ დანაკარგი მოსავლის გადაზიდვისას. სახელმწიფომ დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობებს. მრავალი ავტომანქანა არის მათს განკარგულებაში. მაგრამ სწორი არ იქნება, რომ მთელი იმედი მარტო ავტომანქანებზე დავამყაროთ. აუცილებელია გადაზიდვაში მაქსიმალურად გამოვიყენოთ საჭაპანო ტრანსპორტი, რომ ყოველმხრივ დავაჩქაროთ პირველი განალეწი პურით სახელმწიფო ვალდებულების შესრულება. სატრანსპორტო ბრიგადები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ, რადგან ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პურის დამზადების ტემპები.

საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. მუდამ გვახსოვდეს მოსავლის აღების სტალინური პრინციპი—დროზე ავიღებთ მოსავალს — მოვიგებთ, დავაგვიანებთ—წავაგებთ.

მოსკოვი, კრემლი

მის აღმატებულებას გენერალისიმუს სტალინს

ვტოვებ რა დიადი საბჭოთა კავშირის უკანასკნელ პუნქტს და გულწრფელად ვუსურვებ რა ყველა აიკეთეს თქვენს მაღალაღმატებულებას, გულითად მადლობას გიძღვნით იმ უსაზღვრო მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რაც აღმომიჩინეს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩემი ყოფნის დროს. 27 დღის განმავლობაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რამდენიმე ქალაქში ყოფნისა და სხვადასხვა დაწესებულების დათვალიერების დროს ყველგან ვხედავდი საბჭოთა ხალხის მამაცობასა და თავდადებას. ხოლო საქველმოქმედო დაწესებულებებში, რომლებიც მე ვინახულე, განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა თქვენი ყურადღების უშუალობა.

ერთხელ კიდევ გამოვთქვამ რა ჩემს გულწრფელ გრძნობებს თქვენი მაღალაღმატებულებისა და მთელი დიდებული საბჭოთა ხალხისადმი, გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა.

აშრაფ ფეხლევი

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა საზავო კონფერენციაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციაზე შემდეგი შემადგენლობით:

1. ვ. მ. მოლოტოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი (დელეგაციის თავმჯდომარე);
2. ა. ი. ვიშინსკი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
3. ფ. ტ. გუსევი — სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში;
4. ა. ე. ბოგომოლოვი — სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში;
5. ნ. ვ. ნოვიკოვი — სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში;
6. პ. ი. როტომსკისი — ლიტვის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი;
7. პ. ი. ვალესკალნი — ლატვიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი;
8. გ. გ. კრუუსი — ესტონეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი;
9. ქ. ვ. ნოვიკოვი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე

20 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია პრემიერმინისტრ კლემენტ გოტვალდის, საგარეო საქმეთა მინისტრ იან მასარიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივან დ-რ ვლადიმერ კლემენტისის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის თათბირებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვთან, საგარეო ვაჭრობის მინისტრ ა. ი. მიქოიანთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკისთან განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები, რომლების განხილვაც ამავე დროს სწარმოებდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ექსპერტთა კომისიაშიც.

მოლაპარაკება დამთავრდა 25 ივლისს.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციამ წარმოადგინა ინფორმაცია თავის წინადადებებზე საზავო კონფერენციასთან დაკავშირებით, კერძოდ უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის მოთხოვნებმა გაგება და თანხმობა ჰპოვეს საბჭოთა მთავრობის მხრივ.

გადაჭრილ იქნა აგრეთვე ომის დამთავრებიდან და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხები. საბჭოთა კავშირმა თანხმობა განაცხადა ხელი შეუწყოს ჩეხოსლოვაკიას ჩეხოსლოვაკიის არმიის მომარაგების საქმეში კრედიტის წესით.

გადაწყდა, რომ სტალინის სახელობის დიდ ქიმიურ ქარხანას ქალაქ მოსტში, რომელიც თანახმად ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა ნადავლი ქონების შესახებ, როგორც გერმანელების მიერ ომის დროს აგებული ქარხანა, სსრ კავშირის საკუთრებად უნდა გადმოსულიყო, საბჭოთა კავშირი უსასყიდლოდ უთმობს საკუთრებად ჩეხოსლოვაკიას, ისევე როგორც ჩეხოსლოვაკიაში დარჩენილ მანქანებს გერმანელთა სხვა ქარხნებიდან.

შემდეგ განხილულ იქნა საზღვარგარეთ საბჭოთა საოკუპაციო ზონებში მყოფ ჩეხოსლოვაკიის საკუთრებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა ჩეხოსლოვაკიის საკუთრებად სცნობს ჩეხოსლოვაკიის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა საკუთრებას, მიუხედავად ეროვნებისა.

შემდგომ მოლაპარაკებაში ორივე მხარე შეთანხმდა, რომ დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება საჭიროა შეცვლილ იქნას ხანგრძლივი ხელშეკრულებით, რომელშიც გამოხატული იქნება ჩეხოსლოვაკიის საჭიროებანი მის ორწლიან სამეურნეო გეგმასთან დაკავშირებით.

ხელმოწერილ იქნა აგრეთვე შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის დამყარებაზე და მომზადებულ იქნა უახლოეს ხანში ხელმოსაწერად შეთანხმება სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ.

მოლაპარაკება სწარმოებდა გულითადი მეგობრობისა და მჭიდრო კავშირის სულისკვეთებით.

მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია ბ-ნ კლემენტ გოტვალდის მეთაურობით

26 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი კლემენტ გოტვალდი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. მასარიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ვ. კლემენტისი და სხვები.

მიმავალნი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. პარფენოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ა. პ. პავლოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლოჩკოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა ნ. ვ. გრებენშჩიკოვმა.

მიმავალნი აგრეთვე გააცილეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს წევრებმა საქმეთა დროებითი რწმუნებულის ბ-ნ ი. კაშპარეკის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მთელმა რიგმა მეთაურებმა.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

უკანასკნელი ცნობები

ტრუმენის მიმართვა კონგრესისადმი ფასებზე კონტროლის განახლების გამო

ვაშინგტონი, 25 ივლისი. (საკდესი). ტრუმენმა კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნა, რომ მან უხალისოდ მოაწერა ხელი ფასებზე კონტროლის განახლების კანონს, ვინაიდან ეს კანონი გაცილებით უფრო ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, ვიდრე ტრუმენი მოელოდა. მაგრამ, ნათქვამია წერილში, ეს კანონი უკეთესია, ვიდრე ის, რომელსაც მან, ტრუმენმა, წინათ ვეტო დაადო. ტრუმენმა აღნიშნა, რომ ფასებზე კონტროლის დამთავრების შემდეგ უკანასკნელ ოთხ კვირაში ფასების მკვეთრი ზრდა ცხადყოფს, თუ რა მოხდებოდა, კონტროლი რომ არ განახლებულიყო, და განაცხადა, რომ კონტროლი საარსებოდ აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის თვის. მაგრამ მარტო ფასებზე კონტროლი არ კმარა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ფასების ზრდა. საჭიროა კიდევ სახელმწიფო ხარჯების შემცირება და, თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, უფრო მაღალი გადასახადების შემოღება. ტრუმენი მოუწოდებს ხალხს „ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს მეტად მაღალ ფასებს" და დაპირებას იძლევა, რომ თუ ახლანდელი კანონპროექტი საკმაო არ აღმოჩნდა, იგი მოიწვევს კონგრესის სპეციალურ სესიას ფასებზე კონტროლის კანონის გასაძლიერებლად და სხვა აუცილებელი ეკონომიური კანონპროექტების დასამტკიცებლად.

მდგომარეობა გუანსისა და ხუნანის პროვინციებში

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ინრრას წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ახალი ცნობები გუანსის პროვინციასა და ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში არსებული მდგომარეობის შესწავლის შესახებ მოწმობენ, რომ მწვავე შიმშილობის გამო 16 მილიონი კაცი სრული ფიზიკური დაუძლურების პირასაა.

იმ პირებმა, რომლებიც ამ პროვინციებში მდგომარეობას იკვლევენ, განაცხადეს, რომ გუანსის პროვინციაში მალარია მძვინვარებს, ხუნანის პროვინციაში კი—ციება, დიზენტერია, ხოლერა და სხვა ინფექციური დაავადებანი. აღნიშნულ პროვინციებში მდგომარეობის შესწავლა მოწმობს, რომ ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში აღებული იქნება მოსავლის მხოლოდ სამი ან ოთხი მეხუთედი, გუანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში კი დათესილია ნორმალური სათესი ფართობის მხოლოდ ერთი მეოთხედი.

გენერალური ასამბლეის მომავალი სესიისათვის

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა სობოლევმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მან ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას გაუგზავნა უწყება იმის შესახებ, რომ ვინაიდან არცერთ ქვეყანას პროტესტი არ განუცხადებია გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის გადადების წინააღმდეგ, სესია მოწვეული იქნება ნიუ-იორკში 23 სექტემბერს.

ნიუ-იორკში ხო ინ-ცინის ყოფნის გამო

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ჩინეთში ნამსახურ ყოფილ ამერიკელ ჯარისკაცთაგან შემდგარი „ჩინელ ვეტერანთა კომიტეტის" 27 წევრმა 23 ივლისს საღამოს პიკეტები მოაწყო იმ რესტორანის შესასვლელთან, სადაც დარბაზობა გაიმართა ჩინეთის არმიის შტაბის ყოფილი უფროსის ხო ინ-ცინის პატივსაცემად. ვეტერანებს მოჰქონდათ პლაკატები წარწერებით, რომლებიც ხო ინ-ცინს ახასიათებენ როგორც ომის გამჩაღებელს.

სხვა წარწერები შეიცავდნენ მოთხოვნებს ჩინეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ და პროტესტებს იმის წინააღმდეგ, რომ ხო ინ-ცინი დაინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო-საშტაბო კომიტეტში.

გაფიცვები იტალიაში

რომი, 26 ივლისი. (საკდესი). პესკარის პროვინციაში მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და სპეკულაციისა და საძვირის წინააღმდეგ ზომების მიღებას.

ბარლეტაში (ბარის პროვინცია) 24 ივლისს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ემუშავრებთან სოლიდარობის ნიშნად. 4 ათასმა გაფიცულმა დემონსტრაცია გამართა ქალაქის ქუჩებში.

ემუშავრებთან სოლიდარობის გაფიცვები ტარანტოს პროვინციაში. 24 ივლისს გაიფიცნენ სასტუმროების, სასადილოებისა და რესტორანების მოსამსახურენი რომში. მილანში ამ კატეგორიის გაფიცულებმა დემონსტრაციები გამართეს.

დამსახურებული ჯილდო

(ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის საზეიმო კრება)

დიდი სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის რკინიგზას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა სსრ კავშირის რკინიგზებს შორის. გზის კოლექტივი ომის ძნელ ვითარებაში შეუფერხებლად აწვდიდა ფრონტზე გმირ წითელ არმიას იარაღს, საჭურველს, სურსათსა და ყოველივე იმას, რაც აუცილებელი იყო ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის. გზა აგრეთვე შეუფერხებლად ამარაგებდა მრეწველობას ნედლეულით და მოსახლეობას სურსათ-სანოვაგით, სამრეწველო საქონლით.

ამიერკავკასიის რკინიგზის საუკეთესო მუშაობის დამადასტურებელია ის, რომ მას ომის წლებში 14 თვის მანძილზე ეკავა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. როდესაც დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მთავრობისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებით სამუდამოდ გადაეცათ ომის წლებში საუკეთესოდ მომუშავე კოლექტივებს. მათ შორის არის ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა კოლექტივიც.

საპატიო ჯილდოს მიღების აღსანიშნავად გუშინ, 26 ივლისს, საქართველოს სსრ ფილარმონიის საზაფხულო ბაღში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საგზაო კომიტეტმა მოიწვიეს რკინიგზელთა აქტივის საზეიმო კრება. ვრცელი დარბაზი ვერ იტევდა კრებაზე დასწრების მსურველთ. ბაღში გაკრული იყო ლოზუნგები, გამოფენილი იყო პლაკატები, რომლებიც ასახავდნენ რკინიგზელთა წარმატებებს და მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მათ წინაშე მდგომ გრანდიოზულ ამოცანებს. საღამოს 7 საათზე საზეიმო კრება დაიწყო.

პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ ამხანაგები კ. ნ. ჩარკვიანი, სსრ კავშირის გზათა მინისტრი ი. კოვალიოვი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა. ძ. ბარამია, ვ. ბუჯიაშვილი, ა. რაფავა, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. კარანაძე, გ. გოჩაშვილი, მ. ჩუბინიძე, გ. კიკნაძე, სოციალისტური შრომის გმირები ა. წიკლაური და ნ. გელაძე, დ. ტაბატაძე, ა. ჯორბენაძე და სხვები.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძემ. შემოვიდა წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი!

დიდი სტალინის სახელის გაგონებაზე დამსწრენი ფეხზე დგებიან და ხანგრძლივ მქუხარე ოვაციას მართავენ საყვარელი ბელადის პატივსაცემად.

დიდ სტალინთან ერთად საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ირჩევენ ამხანაგებს მოლოტოვს, ბერიას, მალენკოვს, ჟდანოვს, ანდრეევს, ვოროშილოვს, მიქოიანს, კაგანოვიჩს, ხრუშჩოვს, შვერნიკს, ვოზნესენსკის, ბულგანინს, კოსიგინს.

თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის გზათა მინისტრს გენერალ-ლეიტენანტ ი. ვ. კოვალიოვს.

მომხსენებელი ვრცლად აშუქებს დიდი სამამულო ომის წლებში რკინიგზის ტრანსპორტის, კერძოდ ამიერკავკასიის რკინიგზელების მუშაობას და იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მათს წინაშეა დასახული. დასასრულ ამხ. კოვალიოვი ამბობს:

ამიერკავკასიის რკინიგზას დიდი სამამულო ომის წლებში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა სსრ კავშირის გზებს შორის. ამიტომ დაიმსახურა მისმა კოლექტივმა დიდი და საპატიო ჯილდო — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეჭვი არ არის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზელები მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც საპატიოდ შეასრულებენ მათს წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამხ. კოვალიოვი დროშას გადასცემს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს და მხურვალედ ულოცავს საპატიო ჯილდოს მიღებას.

საპასუხო სიტყვაში ამხ. კიკნაძე ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახელით მადლობას გამოსთქვამს საპატიო ჯილდოს მიღებისათვის და პირობას იძლევა, რომ გზის კოლექტივი წარმატებით შეასრულებს მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ ამოცანებს, მუდამ იქნება მოწინავეთა რიგებში.

საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლ. პ. ბერიას.

კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

ფილმ „ფიცის" გასინჯვა

მოსკოვის კინოს სახლში შესდგა მწერალ პ. პავლენკოსა და მ. ჭიაურელის სცენარის მიხედვით შექმნილ ახალ ფილმ „ფიცის" საზოგადოებრივი გასინჯვა.

ფილმი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ პარტია და საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინის მიერ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ დადებულ დიად ფიცს.

სტალინის სახეს მომხიბლავი მხატვრული ძალით ჰქმნის მსახიობი მ. გელოვანი. მაყურებელი ამხანაგ სტალინს ხედავს მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ოცდაორი წლის მანძილზე, დაწყებული ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მომენტიდან დღევანდლამდე.

საუცხოოა რესპუბლიკის სახალხო არტისტ ს. გიაცინტოვას თამაში (ვარვარე მიხეილის-ასული). მის მიერ შექმნილი სახე სცენიური ოსტატობის შესანიშნავი მიღწევაა. ფილმში პორტრეტული მსგავსების დაცვით ნაჩვენები არიან პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები.

ფილმის გადაღება სწარმოებდა გორკაში, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი, კრემლში, წითელ მოედანზე, ომისშემდგომ სტალინგრადში, თბილისში.

გადაღებულია საზეიმო მიღება კრემლში.

ამჟამად სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს პირგადასაღებ ფაბრიკებში იბეჭდება ფილმ „ფიცის" 1.200 ეგზემპლარი. 29 ივლისს ფილმს პირველად უჩვენებენ მოსკოვის 20 ეკრანზე. ამავე დროს დაიწყება ფილმის ჩვენება ლენინგრადის, კიევის, თბილისის, მინსკისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა დედაქალაქების კინოთეატრებში. ფილმის პირები გაიგზავნება აგრეთვე წითელი არმიის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

(საკდესი).

საზოგადოებრიობა ეხმარება სკოლას

ლენინგრადი, 25 ივლისი. (საკდესი). წელს ლენინგრადის ოლქის რაიონებში 1.304 სკოლა იმუშავებს. ამ სკოლებში მივა თითქმის 150 ათასი მოსწავლე. 30 ათასამდე ბავშვი პირველად მოუსხდება მერხს. ათიათასობით მშრომელი კვირადღეებში ეხმარება სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. ტიხვინის რაიონის ნოვინსკის სასოფლო საბჭოში კოლმეურნეთა ძალებით შეკეთებულია 6 სკოლა, მიზიდულია 97 კუბმეტრი შეშა, შეკეთებულია მერხები. აგეთსავე დახმარებას უწევენ სკოლებს ოიატსკის, ვინიცის, ვსევოლოჟსკისა და სხვა რაიონებში.

22 რაიონში საზოგადოებრიობის ძალებით შეკეთებულია 239 სკოლა. აქ რემონტი გაუკეთეს სახურავებს, შეღებეს შენობები, მოაწესრიგეს ინვენტარი. ზამთრისათვის დამზადებულია 40 ათასამდე კუბური მეტრი შეშა.

კოლმეურნეებმა შეაკეთეს აგრეთვე 226 ბინა მასწავლებლებისათვის.

ფოთი ემზადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის

ფოთის მშრომელები ემზადებიან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად.

კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურის, ფლოტის მოწინავე ადამიანების და სამამულო ომის ამსახველი ფოტოსურათების გამოფენა.

საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტარდება ლექციები და მოხსენებები თემებზე: „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი", „ჩვენი ქვეყნის საზღვაო ძლიერება". ახალგაზრდობისათვის ჩატარდება მოხსენება — „კომკავშირი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფია".

ფლოტის დღე, 28 ივლისი, ქალაქში აღინიშნება მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული შეჯიბრებებით. ნავსადგურის კომკავშირული ორგანიზაციები ამ დღეს ატარებენ შეჯიბრებას ცურვაში.

28 ივლისს შესდგება კომკავშირული აქტივის საქალაქო საზეიმო საღამო, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

ალ. წურწუმია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით:

1. გოგიბერიძე დავარ არსენის-ასული — დიასახლისი, ქ. მახარაძე, მახარაძის რაიონი;
2. ესაიანი არცვიკ არუთინის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პატარა ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
3. ხმოევა კოვეა თამუს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით:

1. ბაჯელიძე მატრონა მალაქიას-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. ავეტისოვა ელენე აპეტის-ასული—მუშა, ქ. თბილისი;
3. ქინქლაძე თამარ ნესტორის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით:

1. აროშიძე ელისაბედ (ლიზა) პორფილეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. ავდალიანი გულიზარ ჩაჩოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
3. ავდალიანი მესტე უსუფის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. აკოფიანი ასტღიკ მიკირტიჩის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
5. ბარჯაძე ბარბარე გიორგის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
6. გოცირიძე მარიამ სიმონის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
7. კალოიანი ბადილ მათოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
8. კირაკოსიანი ვართანუშ სერგოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
9. კოჭლაშვილი ტერეზა ილიას-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
10. მალაფეევა ანა მიხეილის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
11. მჟავია მარიამ იოსების-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. მუსიანი სირანუშ თელოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
13. ნადიროვა ჰაზან ამირის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
14. ტეჯოევა ალო დავრიშის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
15. ტოროტაძე სოფიო ლუკას-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. შავეშოვა შაკირ ამარის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
17. ხინთიბიძე ანა ივლიანეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით:

1. აშირიძე ილია მიხეილის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
2. ბეჟაძე მარიამ დავითის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
3. გრიგორიანი არუსიაკ სეროფის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. გიორგაძე ევგენია ალექსანდრეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. გორდელაძე მართა გიგოს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. ეგიაზაროვა ნინო გრიგოლის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
7. ზაქარიაძე თეო სარდიონის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. იუზბაშევა მაია ჩაჩანის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
9. კარამანოვა ასმარა ასკარის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
10. კვაჰაძე მარიამ მეთოდეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
11. კვერღელიძე ვერა ირაკლის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. მალხაზიანი აშხენ გრიგოლის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
13. მიქელაშვილი ნინო ივანეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობის წევრი;
14. ნალბანდიანი აიკანუშ დავითის-ასული —დიასახლისი, ქ. თბილისი;
15. უზილოვა ხანუმ აბრამის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
16. ფხიტიძე მელანია პეტრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
17. ჩანჩიბაძე ეკა ივანეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
18. ჩარგეიშვილი ეკატერინე ვასილის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
19. ჩიკაშუა ნინო ილიას-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
20. ცისკარიძე მარიამ ნიკოლოზის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ წითელმთის კოლმეურნეობის წევრი;
21. ჯაჯანიძე ნინო მიხეილის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ნიაბაურის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით:

1. ანდღულაძე ეკატერინე ივანეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ვანისქედის კოლმეურნეობის წევრი;
2. ადამოვა მარიამ ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
3. ბაბაევა გულო კალოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. ბიტ-ბაბიკოვა მარიამ ხორმუზის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
5. დიმიტრევა ელენე სერგოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
6. ზოიძე ანა ალექსანდრეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. თალაკვაძე ნინო ანდრიას-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ მთისპირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. თონელიშვილი სათენიკ მიხეილის-ასული —დიასახლისი, ქ. თბილისი;
9. კარაპეტიანი ფარანძემ მაციკის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
10. მაკაროვა სოფიო ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
11. მიკირტიჩიანი ბაველან სააკის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
12. მჭედლიძე ევა ზაქარიას-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
13. პეტროსიანი რიფსიმე აირაპეტის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
14. სადიევა ანა რახიმის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
15. სალუქვაძე ევგენია (ჟენია) ნესტორის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ფამფალეთის კოლმეურნეობის წევრი;
16. სალუქვაძე სოფიო იასეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. სიმონიშვილი თამარ ონისიმეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
18. სობოლი ელისაბედ სოლომონის-ასული —დიასახლისი, ქ. თბილისი;
19. სტეფანოვა მარიამ გრიგოლის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
20. ულაბეკიანცი სათენიკ ვართანის-ასული —დიასახლისი, ქ. თბილისი;
21. ფხაკაძე ანატოლია გიორგის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
22. ჩერმენევა ანა პეტრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1946 წ. 16 ივნისი, ქ. თბილისი.

ახალი პრემიები მეცნიერული ნაშრომებისათვის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება მიიღო მეცნიერული ნაშრომებისათვის ახალი პრემიების მინიჭების შესახებ. ეს პრემიები ა. ნ. ბახის სახელობისა, ნ. ს. კურნაკოვის სახელობისა და ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობისაა.

ა. ნ. ბახის სახელობის პრემიას 25 ათასი მანეთის რაოდენობით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი სამ წელიწადში ერთხელ — ა. ნ. ბახის დაბადების დღეს — 17 მარტს მიანიჭებს საუკეთესო ნაშრომს ბიოქიმიაში. პრემია მიენიჭება ცალკეულ მეცნიერთა, მათ საავტორო კოლექტივთა და საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებების შრომებს.

ნ. ს. კურნაკოვის სახელობის პრემია—10 ათასი მანეთი ყოველწლიურად, 1947 წლიდან დაწყებული, მიენიჭება თვალსაჩინო ნაშრომებს არაორგანული ქიმიის, ფიზიკურ-ქიმიური ანალიზისა და მისი გამოყენების დარგში.

ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის პრემიას—10 ათას მანეთს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი სამ წელიწადში ერთხელ, 1946-დან დაწყებული, მიანიჭებს ნაშრომებს ზოგადი ეთნოგრაფიის, ოკეანისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეთნოგრაფიის, ეთნიკური ანთროპოლოგიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების გეოგრაფიის დარგში. (საკდესი).

პეტრე პირველის ძეგლი ვიბორგთან

ვიბორგი, (საკდესი). აქ აღმოჩენილია პეტრე პირველის ძეგლი, რომელიც დაღუპულად ითვლებოდა. მოქანდაკე ბერნშტამის მიერ პეტრე გამოხატულია ზარბაზნის ლაფეტზე დაყრდნობილი.

ეს მონუმენტი, რომელიც 1910 წელს პარიზში ჩამოასხეს, დაიდგა ვეებერთელა კლდეზე, რომლის წვეროდანაც პეტრე ხელმძღვანელობდა ვიბორგისათვის ალყის შემორტყმას. 1710 წლის ივლისში, შვედების კაპიტულაციის შემდეგ, მან საკუთარი ხელით ამოჰკვეთა ამ კლდეზე წარწერა: „ქალაქმა სანქტ-პეტერბურხმა საბოლოო უშიშროება მიიღო".

1917 წელს ფინელმა რეაქციონერებმა ძეგლი ჩამოაგდეს. სამამულო ომის წლებში გერმანელმა ოკუპანტებმა პეტრეს ქანდაკება დამალეს და ყუთებში ჩააწყეს, მაგრამ გატანა ვეღარ მოასწრეს.

დაიწყო ძეგლის აღდგენა. ხდება ბრინჯაოს ფიგურის რესტავრაცია. ხელახლა გაკეთდება გრანიტის კვარცხლბეკი.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა ორი საკითხი: აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ციტრუსოვანი კულტურებისა და ევკალიპტების განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში და შახტებისა და საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობა ტყვარჩელში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

— ამხანაგ სტალინის ინიციატივით მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების განვითარების ღონისძიებათა შესახებ, — სთქვა მომხსენებელმა, — აფხაზეთის ბოლშევიკებს დიდ ამოცანებს აკისრებს. 1946-1950 წლებში აფხაზეთში ციტრუსების 3.800 ჰექტარი ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს. ამ დავალების შესრულებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ციტრუსების სანერგე მეურნეობის განვითარებას. გალისა და გულრიფშის რაიონების უმრავლეს კოლმეურნეობებში სანერგეები საუკეთესოდ არის მოვლილი. სულ სხვა სურათია გუდაუთის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობებში: სანერგე მეურნეობა მოუვლელია და არც ციტრუსოვანთა პლანტაციებია კარგ მდგომარეობაში. განსაკუთრებით დასარევლიანებულია პლანტაციები გუდაუთის რაიონის სოფელ ქვემო აჩუხვის ლენინის სახელობის, სოფელ კულანურხვის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში, ზღვისპირის კოლმეურნეობა „პროგრესში" და ფსირცხის საბჭოთა მეურნეობაში. ასევე მოუვლელია პლანტაციები ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების ზოგ კოლმეურნეობაში. გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩებიან პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანისა და ნარგავების შეწამვლის მხრივაც. პირველმა შეწამვლის გეგმა მხოლოდ 17,5 პროცენტით შეასრულა, მეორემ — 19,6 პროცენტით.

მომხსენებელი შეჩერდა მიმდინარე წლის შემოდგომასა და 1947 წლის გაზაფხულზე პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის ახალი წესით დამუშავების საკითხებზე და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი არსებული ნარგავების მოვლის, სიმეჩხრის ლიკვიდაციისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა დროულად განხორციელების აუცილებლობას იმისათვის, რომ წელს აფხაზეთმა სამშობლოს მისცეს 125 მილიონი ცალი ციტრუსი.

დასასრულ, ამხ. მგელაძემ აღნიშნა, რომ საზაფხულო მყნობისათვის ყოველმხრივ მომზადება და მისი მაღალხარისხოვნად ჩატარება, ევკალიპტების, ქარსაფარი ზოლების და ცოცხალი ღობეების გაშენებისა და მოვლის ხუთწლიანი გეგმის შესრულება აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების სახელისა და ღირსების საქმეა.

— ხუთწლიანი გეგმით, — ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ჭეჭია,—ჩვენს რაიონში ციტრუსები უნდა გაშენდეს 530 ჰექტარზე. ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციების გაშენებასა და მოვლას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. წელს ციტრუსები 78-ის ნაცვლად უკვე გავაშენეთ 83 ჰექტარზე. ლიმონის გაშენების გეგმას 5 ჰექტარით გადავაჭარბეთ. გვაქვს კარგი სანერგე მეურნეობები. ნერგების გახარების პროცენტი მაღალია. სანერგეები შვიდჯერ გაითოხნა. მყნობა 1 აგვისტოდან მასობრივად დაიწყება. გამოყოფილია მყნობელები. ისინი მომარაგებული არიან საჭირო ინვენტარით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გვილავამ აღნიშნა, რომ რაიონში ციტრუსოვანთა პლანტაციები ჯეროვნად არ არის მოვლილი. სოფელ კოჩარის სტალინისა და ბერიას, სოფელ ლაბრის კომინტერნის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობების ციტრუსოვანთა მრავალწლიანი ნარგავები მოუვლელობის გამო არ იძლევიან ნაყოფს. სანერგეები ამ კოლმეურნეობებში უყურადღებოდაა მიტოვებული. — პარტიის რაიონული კომიტეტი, — განაცხადა მან დასასრულ, ყველა ზომას მიიღებს, რათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას ციტრუსოვანთა კულტურებისა და ევკალიპტის გაშენება-მოვლის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

გუდაუთისა და სოხუმის რაიკომების მდივნების ამხანაგების დ. ჯანჯღავასა და ი. ზარანდიას გამოსვლები არ იყო თვითკრიტიკული. ისინი ზოგადად ლაპარაკობდნენ ნაკლოვანებებზე.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე შ. გეთია (გულრიფშის რაიონი), მ. კუჭავა (გაგრის რაიონი) და გ. ბერულავა (აფხაზეთის ასსრ ტექნიკური კულტურების მინისტრი).

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ტყვარჩელის საშახტო მშენებლობის ტრესტის უფროსმა ამხ. ე. სოფრონოვმა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კ. ჩაგუნავამ (პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი), ნასიძემ, ცატუროვმა (მშენებლობის უფროსები), გ. ცინცაბაძემ (პარტიის საოლქო კომიტეტი) და სხვებმა ილაპარაკეს ახალი შახტის ცალკეული უბნების სამუშაოთა ფრონტის, მუშათა და სპეციალისტთა საბინაო მშენებლობისა და ახალი გზების მშენებლობის მიმდინარეობასა და ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებზე.

პლენუმმა ორივე საკითხზე დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

1.580 მეტრიანი ჭაბურღილი 150 დღეში

მლაშისხეველ ნავთმაძიებელთა წარმატება

მლაშისხევის ნავთსაძიებო უბანზე ღრმა საძიებო ბურღვა 1944 წლიდან მიმდინარეობს, მაგრამ ბურღვის ტემპები იმდენად დაბალია, რომ ჯერჯერობით არცერთი ჭაბურღილი არ არის დაყვანილი საპროექტო სიღრმემდე. ღრმა ბურღვას აქ ხელს უშლის მრავალი რამ — დანადგარების და მექანიზმების გაუმართაობა, შრომის დისციპლინის სისუსტე, თიხის ხსნარის შეუფერებლობა. ხშირია ჭაბურღილის ჩანგრევის შემთხვევები, რაც მნიშვნელოვანწილად თიხის სათანადო ხსნარის გამოუყენებლობით არის გამოწვეული.

მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში მლაშისხევში დაიწყეს ახალი საძიებო ჭაბურღილის (№ 8) ბურღვა. მას ხელმძღვანელობდა ბურღვის ოსტატი ორდენოსანი ს. კოჩიევი. ჭაბურღილის საპროექტო სიღრმე იყო 1.580 მეტრი. ამხ. კოჩიევმა ჭაბურღილზე მომუშავენი მიამაგრა ცალკე დანადგარებს, განამტკიცა შრომის დისციპლინა, გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ცვლებს შორის, მექანიზმებს მიუჩინა მომვლელები, უზრუნველჰყო გრაფიკით მუშაობა და ალკვეთა ავარიები.

№ 8 ჭაბურღილზე მომუშავეებს დიდი დახმარება გაუწია ინჟინერმა დ. ჯაყელმა, რომელმაც გამოიმუშავა ამ რაიონისათვის თიხის ყველაზე უფრო შესაფერი ხსნარის დამზადების მეთოდი. მანამდე მლაშისხევში იყენებდნენ ხსნარს, რომელშიაც ურევდნენ სპირტის ნახადს. ინჟინერმა ჯაყელმა სპირტის ნაცვლად გამოიყენა ტორფი, ჭაჭა და მურანახშირი, რითაც ხსნარის ფილტრაციის უნარი 6-10 კუბურ სანტიმეტრამდე შეამცირა. ჭაბურღილში ასეთი ხსნარის ჩაშვების შემდეგ ბურღვის დროს ჭის კედლები არ ინგრევა. ხსნარის რეცეპტურა იცვლება ყოველი გარკვეული სიღრმის მიღწევის შემდეგ იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის ყამირის ნიმუშებს მივიღებთ ჭაბურღილიდან. ასეთი ხსნარის გამოყენებამ შეამცირა ჭაბურღილის თვითღირებულება და გააადვილა სწრაფი ბურღვა.

გეგმის მიხედვით ამ ჭაბურღილის ამოღება უნდა დამთავრებულიყო 228 დღეში. ამხ. ს. კოჩიევის მიერ შრომის რაციონალურად მოწყობისა და ინჟინერ დ. ჯაყელის ნოვატორული ღონისძიების განხორციელების შედეგად ჭაბურღილის ამოღება 150 დღეში დამთავრდა.

ჭაბურღილზე მომუშავენი ს. კოჩიევი, დ. ჯაყელი, აგრეთვე მბურღავები და მბურღავთა თანაშემწეები წახალისების ღირსნი არიან.

ინჟინერი ვ. უთალიშვილი

ქუთაისელ მეკონსერვეთა მიღწევა

7.000 ტონა ხილი და ბოსტნეული უნდა გადაამუშაოს მიმდინარე სეზონში ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანამ. ქარხნის კოლექტივი მომზადებული შეხვდა სეზონს. ნაცვლად 1 ივნისისა ის 20 მაისიდან შეუდგა ხილ-ბოსტნეულის გადამუშავებას.

მაგრამ ნედლეულის არასაკმაო რაოდენობით მიღების გამო ქარხნის მუშაობა ივნისში შეფერხდა — გეგმა მხოლოდ 64,9 პროცენტით შესრულდა.

ივლისში მდგომარეობა გამოსწორდა. იმერეთის ხილბოსტნეულით მდიდარი რაიონებიდან ქარხანაში ყოველდღე იღებენ 80-90 ტონა ხილს და მისგან 45 სახის პროდუქციას ამზადებენ. 21 ივლისისათვის თვიური გეგმა უკვე შესრულებული იყო 105 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 560.000 პირობითი ქილა კონსერვი. ამასთან უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გადიდებულია 5 პროცენტით, ხოლო თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 4 პროცენტით.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სასტიკად დავსაჯოთ მეშახტეთა მომარაგების ხელისშემშლელნი

მიწის სიღრმეში, საღაც შორს მთების ძირში შეჭრილ ღრმა გვირაბებში ტყიბულელი მეშახტეები ანგრევენ ქვანახშირს, გვირაბიდან გარეთ ეზიდებიან მას, ტვირთავენ ეშელონებს და ამარაგებენ მრეწველობას, ტრანსპორტს ძვირფასი საწვავით. ამ დროს კი ზევით, მუშათა მომარაგების განყოფილებაში, იქ სადაც უნდა ზრუნავდნენ მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, თავი შეუყრიათ უთაურ ადამიანებს, ყალთაბანდებს, რომლებიც აღმაშფოთებლად ანიავებენ პროდუქტებს, სამრეწველო საქონელს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტთან არსებული მუშათა მომარაგების განყოფილება, რომლის უფროსადაც მუშაობს პლატონ ოთინაშვილი, სულ უფრო და უფრო აუარესებს მუშაობას. დამხმარე მეურნეობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. არც პ. ოთინაშვილს და არც სხვა ვინმეს არ შესტკივა გული ამ მეურნეობისათვის. შარშან, მაგალითად, მეურნეობაში 39 ჰექტარი სიმინდი დათესეს. ნათესს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ მისი დამუშავებისათვის თავი არ შეიწუხეს და სულ მხოლოდ 56 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. გაპარტახებამდეა მიყვანილი მეურნეობის ვენახი.. 6 ჰექტარ ვენახში შარშან მოიყვანეს... 1140 ლიტრი ღვინო. ვენახი მოუვლელია და წელსაც კარგ მოსავალს ვერ მოგვცემს. კიდევ უფრო ცუდად მუშაობს მეცხოველეობის ფერმა. ერთი წლის განმავლობაში აქ შვიდჯერ შესცვალეს ფერმის გამგე. ვინც მოვიდა, ყველამ წამგლეჯაობა დაიწყო, ხოლო იმისათვის, რომ ფერმაში საქმე კარგად დაეყენებინათ და მეშახტეთა მომარაგება გაეუმჯობესებინათ, არც ერთი არ ზრუნავდა. ფერმაში 94 სული პირუტყვი დაიხოცა. დაბალია პროდუქტიულობა. 21 მეწველმა ძროხამ, რომელთაც ხეირიანად არ უვლიან, მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 41 ცენტნერი რძე მოიწველა, ნაცვლად 105,5 ცენტნერისა.

ამ უყაირათობისა და უთაურობის შედეგად 1945 წელს დამხმარე მეურნეობამ დიდძალი თანხა იზარალა. წლის განმავლობაში აქ დაიხარჯა 295.000 მანეთი, ხოლო შემოსავალი უდრიდა 192.000 მანეთს.

მუშათა მომარაგების განყოფილება თავს არ იწუხებდა ფონდირებული საქონლის მიღებისათვისაც. ამის შედეგად შარშან მიუღებელი დარჩათ და მეშახტეებს დააკლეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფონდებიდან 31 ცენტნერი ბურღული, 405 ცენტნერი თევზი, 30 ცენტნერი რძე, 132 ცენტნერი ცხიმეული, 420 ცენტნერი მარილი, დიდძალი შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი, საპონი და მრავალი სხვა სამრეწველო საქონელი.

კადრებს მუშათა მომარაგების განყოფილებაში სამუშაოდ ნათესავური პრინციპის მიხედვით არჩევენ, იმას ცდილობენ, რომ ყველა „სარფიან" პოსტზე „თავისი კაცი" ჰყავდეთ, რათა დანაშაულობათა გამომჟღავნების შესაძლებლობა აღკვეთილ იქნას. მთავარი ბუღალტერის ნ. ზვიადაძის ძმა, რომელსაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს, საწყობის გამგედ მუშაობს, ხოლო ბ. ზვიადაძის ცოლისძმები ერთი მუშაობს მაღაზიის გამგედ, ხოლო მეორე მუხიანის მეურნეობის გამგედ. ამასწინათ ასეთი ამბავი მოხდა: ზვიადაძის იმ ცოლისძმას, რომელიც მაღაზიის გამგედ მუშაობს (მისი გვარია ფუტკრიძე) შემოწმებისას მაღაზიაში დააკლდა 6 წყვილი ფეხსაცმელი, ერთი პალტო, 6 მეტრი კრეპდეშინი, მაგრამ ეს ბოროტმოქმედება არავის გაუმხელია. მუხიანის მეურნეობაც ზარალის მეტს არაფერს იძლევა. ვინმე ცეცხლაძე დანიშნეს მუშათა მეშვიდე სასადილოს გამგედ. ამ ვაჟბატონმა სულ მოკლე დროში 1.981 მანეთი გაფლანგა, მაგრამ ამისათვის ცეცხლაძე იმით „დასაჯეს", რომ სასადილოს გამგეობიდან ლვინის კიოსკის გამგედ გადაიყვანეს. მან აქაც მოკლე დროში, 2.186 მანეთი გაფლანგა და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს სამუშაოდან. მისი პასუხისგებაში მიცემა კი აზრადაც არავის მოსვლიათ. ასეთი მაგალითები აქ ხშირია. აი მეორე მაგალითი: სტალინის სახელობის შახტში სასადილოს გამგედ მუშაობდა ვინმე სიმონ ჯაფარიძე. მან იქ კარგა ბლომად თანხა გაფლანგა. ამის შემდეგ ეს ყალთაბანდი მუშათა ცენტრალური უბნის სასადილოს გამგედ გადაიყვანეს. აქაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ესეც შერჩა.

ხშირად შეხვდებით ორგანიზაციებიდან ცუდი მუშაობისათვის მოხსნილ და პასუხისგებაში ნამყოფ პირებს, რომლებიც მეშახტეთა მომარაგების საქმის მესვეურებად გვევლინებიან. ვისთვის არის საჭირო ამ სახელგატეხილი ადამიანების აქ მოყვანა? იმათთვის, ვინც ითვისებს მეშახტეების კუთვნილ პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელს. ერთი მათგანია სავაჭრო განყოფილების მუშაკი ვინმე ვარდიგორელი. აი მისი მინაწერები მეექვსე მაღაზიის გამგის სახელზე.

— „გაეცი გალინაზე პულავერი 2 ცალი"(!).

— „გურამის მიეცი ერთი მეტრი ბამბის ქსოვილი".

აქ წესად აქვთ სამრეწველო საქონლის ნაცნობთათვის დარიგება. მაგრამ აქაც ყველაფერი „შერჩევით" ხდება, ე. ი. ახლობლებს აძლევენ ვთქვათ პირველხარისხოვან საქონელს (წმინდა შალის ქსოვილებს, მაღალხარისხოვან ფეხსაცმელს), ხოლო ცოტა შორეულებს—მდარე ხარისხის სამრეწველო საქონლით იშორებენ.

ყოველივე ეს მშვენივრად იციან მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელებმა. იციან ეს ტრესტის ხელმძღვანელებმაც, მაგრამ ზომებს კი არ იღებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ეს უმსგავსოებანი, თავიდან მოიშორონ უყაირათო მუშაკები, მიაღწიონ მტაცებლების სანიმუშოდ დასჯას.

საჭიროა საქმეში ჩაერიოს პროკურატურა. მან უნდა გააკეთოს ის, რაც ამდენ ხანს უნდა გაეკეთებინათ მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს პ. ოთინაშვილს და ტრესტის მმართველს ა. ვარდიშვილს: მზის სინათლეზე გამოიტანოს მეშახტეთა მომარაგების ხელშემშლელნი, ყალთაბანდები, კომბინატორები.

დ. ქათამაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მუშა-გამომგონებელს უსულგულოდ ეკიდებიან

ლევან სიმონის-ძე საბანაძემ მოროდებით შეალო პროფესორ დიდებულიძის ბინის კარი. ეს იყო ამ ათი წლის წინათ. მან პროფესორს გადასცა თავისი გამოგონება—სპეციალური ხუფი, რომელიც იძლევა ცხიმების ეკონომიას 6 პროცენტით, სპობს სამზარეულოში ბოლს და მთლიანად უზრუნველჰყოფს კერძს დაწვისაგან. თავის ოჯახში გამოსცადა პროფესორმა დიდებულიძემ ეს ხუფი. გამოცდამ დადებითი შედეგები მოგვცა.

რა მოხდა ამის შემდეგ? გამოიყო კომისია, რომელმაც შეამოწმა ხუფის ვარგისიანობა. შეადგინეს აქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხუფი უნდა გამოეყენებინათ საზოგადოებრივი კვების ტრესტის სამზარეულოებში. ტრესტმა ხუფი გადასცა კვების ლაბორატორიას შესამოწმებლად. ლაბორატორიის მუშაკებმა მას დადებითი შეფასება მისცეს და ამის შედეგად ლ. საბანაძემ მიიღო ჯილდო 680 მანეთი. განვლო დრომ. ხუფის შესამოწმებლად კიდევ შეიქმნა კომისია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უშუალო მითითებით. გამოგონება ისევ გადაეცა ტრესტს. საბანაძემ პრემიის სახით ახლა მიიღო 900 მანეთი, მისცეს დასასვენებლად საგზური, მაგრამ ხუფი დღესაც არ არის გამოყენებული.

ლ. საბანაძემ გამოიგონა ჭიქების სარეცხი აპარატი, რომელიც კომისიამ მოიწონა. ეს აპარატი მექანიკურად რეცხავს ჭიქებს. აცილებულია წყლის დაღვრა, ხელების და იატაკის დასველება. კომისია წინადადებას იძლეოდა აპარატი მასობრივად გამოეშვათ. მაგრამ ამ გამოგონებასაც უსულგულოდ მოეკიდნენ—არ განახორციელეს.

ლ. საბანაძემ გამოიგონა ავტომატური საკატლეტე მანქანა. გამომგონებელთა ბიუროს მიერ იგი მოწონებულია. დამუშავებულია სათანადო ნახაზები. რა ბედი ეწია ამ გამოგონებას? ისიც დღემდე განუხორციელებელია.

ლ. საბანაძემ თელავის ღვინის კომბინატისათვის დაამზადა ქვევრის სარეცხი მანქანა. სამჯერ იქნა მოწვეული კომისია მანქანის შესამოწმებლად. მანქანა მოიწონეს, მაგრამ მის მასობრივად დამზადებაზე არავის შეუწუხებია თავი.

მუშა-გამომგონებლისადმი ასეთი გულგრილი მოპყრობისათვის დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ი. სალამურიძე

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

7.000 მანეთი ეკონომია

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანის შ. კალმახელიძის საორთქლმავლო გუნდმა შემცვლელი მემანქანე ა. ჯავახიშვილის, მეშანქანის თანაშემწეების ა. ბარნაბიშვილის და ეძგვერაძის შემადგენლობით სასახელოდ შეასრულა რკინიგზელთა სტალინური დღის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ამხ. კალმახელიძის ორთქლმავალმა გეგმით გათვალისწინებული 40.000 კილომეტრის ნაცვლად აწევითი რემონტის გაუკეთებლად უკვე გაირბინა 80.000 კილომეტრი და მისი ტექნიკური მდგომარეობა სავსებით ნორმალურია. აღნიშნული მანძილის გავლის პერიოდში ორთქლმავალი სრულიად უავარიოდ და მატარებელთა შორის შეკეთების მოუხდენლად მუშაობდა.

სიცოცხლე ჩქეფს კოლხიდაში

ბიბინებს, მიმოირხევა და ნიავის ოდნავ შემოქროლებაზე წელში იკეცება წყალში ამოსული ბალახი.

ეს ადგილი რიონის ნამდინარევია.

ნაბადისაკენ გაუკვლიეს გზა რიონს კოლხიდის მშენებლებმა. ნარიონალში ჩაგუბდა წყალი.

ფერადი ქვების მოაჯირი, პარკები, პავილიონები, სკვერები, მარადმწვანე ხეების ხეივანი, მცირე ნავმისადგომები—ასეთი იქნებოდა ეს ადგილი ახლა. მაგრამ ომის ქარტეხილმა შეაფერხა საქმე, წყალში წამოიზარდა ხავსი და ბალახი, ქალაქის შუაგულში ჭაობი გაჩნდა.

ახლა ნარიონალის მარცხენა ნაპირზე უცნაური მანქანაა აღმართული. ის თითქოს ჩვეულებრივ მიწისმთხრელ მანქანებს ჰგავს, მაგრამ მნახველს აოცებს სიმარტივით.

არც ერთ ჩვენს ქარხანაში არ დამზადებულა ეს მანქანა. არც საზღვარგარეთიდან ჩამოუტანიათ ის კოლხიდის მშენებლებს. მისი კონსტრუქტორი, დეტალების გამომჩარხავი, ამწყობი და მოძრაობაში მომყვანია — კოლხიდელი ივანე სიჭინავა.

დრო იყო და ივანე სიჭინავა ურმის თვლებს თლიდა, უღელს, გუთანს ამზადებდა... როგორც კი დაიბადა კოლხიდის განთიადი, როგორც კი ადამიანებმა შრომითი ლაშქრობა დაიწყეს ჭაობის ამოსაშრობად, ივანე სიჭინავა ამ საშვილიშვილო საქმის მონაწილეთა რიცხვს შეუერთდა: ხან ბაიდებით დასცურავდა ფოთიდან სირიაჩქონამდის, ხან ნაბადაში ახალი კალაპოტი გაჰყავდა რიონისათვის, ევკალიპტის ხეებს რგავდა საყვარელი ქალაქის—ფოთის ქუჩებსა და გარეუბანში, კოლხიდაში ახლადმიღებულ მანქანებს უტრიალებდა, აკვირდებოდა მათი შემართება, რთული მექანიზმი.

დრო გავიდა და ივანე სიჭინავამ თავად გამოიგონა მანქანა—მარტივი, მაგრამ ურთულესი საქმის შემსრულებელი.

ახლა ნარიონალის მარცხენა ნაპირზე დგას ეს მანქანა. ის რელსებზე შეაყენა გამომგონებელმა. ორი ვებერთელა მკლავი ჰაერში აქვს აწვდილი. მკლავების ორივე პირი ხერხისმაგვარია. ეს მკლავები ჩაეშვებიან წყალში, ხერხი ამოძრავდება, ბალახებს ამოთხრის და ნაპირზე გადმოჰყრის...

ხვალისათვის აქვს მანქანის გამოცდა დანიშნული გამომგონებელს და დღეს ჩვეულებრივზე უფრო ღელავს ის: ხან ბორბლებთან, მანქანის ქვედასართულში შეძვრება, ხან ზემოთ მოექცევა ჰაერში აშვერილ მკლავებს, სინჯავს ხრახნებს, თანაშემწეებს არიგებს, მომნუსხველად გადახედავს წყალში ამოზრდილ ბალახებს; ხვალ ისინი ველარ იბიბინებენ თავმომწონედ...

* * *

აღრე გადმოხედა ბელადის თვალმა კოლხიდას,—
კოლხიდის დაბლობს ნათელი მოეფინა!

ლეგენდებში ბრწყინვალებს კოლხიდა: წარსულიდან იმზირება ოქროსსაწმისიანი რქებდაგრეხილი ვერძი, არგონავტების აფრების ტკაცუნი ისმის, ორანძიანი ხომალდები მიაპობენ ფაზისის ტალღებს.

და შემდეგ წყალმა წალეკა მთელი კოლხიდა, არარად იქცნენ ქალაქები, დაბა-სოფლები, ამბავის მთქმელიც არ დარჩენილა — ქვესკნელად იქცა ზღვისპირი... მერე წყალში მომრავლდა ხავსი, ფუძე დაიდეს ლაქაშებმა, ლელიანებმა, თხემლის ტყეები გაჩნდნენ ურიცხვად, შემდეგ ნადირმა მოიკიდა ფეხი ტყეებში... ისევ მოვიდა კოლხიდაში ადამიანი, გააჩაღა ვლებმა კერია, იისფერი კვამლი შეერია ჰალიკონს.

მაგრამ საშინელი ციება აწუხებდა კოლხიდელებს. თაობებს ჭამავდა, ბაიასფერად აყვითლებდა, ჯანღონეს ართმევდა ის ადამიანებს. წყალში იდგა კოლხიდის აკვანი და ვერავინ შეიძლო მისი დარწევა, ვერავინ ამოზიდა ჭაობიდან კოლხიდის აკვანი ჩვენს ეპოქამდის,—

ბელადის თვალმა გადმოხედა კოლხიდას,
კოლხიდის დაბლობს ნათელი მოეფინა!

მზნიბარე კოლხიდელმა განჭვრიტა ახალი კოლხიდის ნანატრი მომავალი...

* * *

სპეციალისტთა ექსპედიციები და ჯგუფები მოეფინენ კოლხიდის დაბლობს. მათ გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ამოსაშრობი სივრცე უდრის ორას ოცი ათას ჰექტარს. აქედან ცალკე გამოჰყვეს ორმოცდაორი ათასი ჰექტარი — ეს უბანი მიჩნეულ იქნა პირველი რიგის სამუშაოდ.

გაჩაღდა მუშაობა. კოლხიდის დაბლობის დუმილსა და სიწყნარეს შემოეჭრა მიწისმთხრელი მანქანების ხმა, წყლისსაწრეტმა არხებმა გადასერეს ჭაობიანი ველები, არხები დაუტოტეს მდინარე რიონს, ნაჯახები ახმიანდნენ ჭალადიდის ტყეებში.

ახოებში გამართეს კარვები, თეთრი, ლამაზი, შნოიანი კარვები და ნაჯაფარი კოლხიდელები საღამოჟამზე ცეცხლს შემოუსხდებოდნენ. ვარსკვლავების მსგავსად ციმციმებდნენ ნაპერწკლები ბნელში, ალისფერი ეპარებოდა კოლხიდის წკვარამს.

რაჟდენ ქლენტი, ნიკო გრიგოლია და გიორგი ჯაფარიძე დაგიხატავენ პირვანდელი მუშაობის სურათს. ისინი აქ იყვნენ პირველი არხის გაჭრისას, იყვნენ როცა განიერი და ლარივით სწორი გზა გაიყვანეს სადგურ ჭალადიდიდან სოფელ ხორგამდის.

მიხეილ შუბლაძე, კონსტანტინე ჩარტია და მიხეილ ალანია დაგიხატავენ პირვანდელი მუშაობის სურათს. ესენი აქ იყვნენ, როცა ჭონჭყოში ეფლობოდნენ აჩაჩაჩა ურმები, და ამ გაუვალში მანქანები ძლივს იკვლევდნენ გზას, როცა ჭაობს გამოსტაცეს პირველი ჰექტარი და კოლხიდის დაბლობში მყარი მინდორი გაჩნდა პირველად.

ოცი წელიწადია ესენი კოლხიდაში მოღვაწეობენ. ამ ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა და უბნების ხელმძღვანელებმა შესანიშნავად იციან კოლხიდის თვალუწვდენი ველი. მათ ბევრი სიძნელე გადალახეს მუშაობაში, არ შეუშინდნენ ავდარსა და უგზოობას, მანქანების სიმცირეს, სწამდათ კოლხიდის მშენებელთა გაუტეხი ნებისყოფა, შეუნელებელი სწრაფვა დიადი გეგმის შესრულებისათვის. ეს ინჟინრები და ტექნიკოსები ბარებითაც სთხრიდნენ მიწას არხების გასაყვანად, იყვნენ მეურმეებიც, აპროექტებდნენ უბნის სამუშაოებს, წვიმასა და თქეშში შველოდნენ წყალვამა დარჩენილ კოლხიდის მშენებელთ.

სამუდამოდ ამოშრობილია კოლხიდის დაბლობის ცხრა ათასი ჰექტარი. ნარინჯოვანთა ბაღებითა და ლამაზი საცხოვრებელი სახლებით დამშვენებული ეს ადგილები ჰგვანან ზღვის ფსკერიდან ამოღებულ მარგალიტებს. გაშენებულია ახალი სოფლები — პატარა ფოთი, ყორათი, ნოჯიხევი, ახალი ხორგა.

ვისაც ამ ათიოდე წლის წინათ გაუვლია ჭალადიდში —იგი უსათუოდ იხილავდა მალარიისაგან გაწამებულ ადამიანებს, უსუსურ ბავშვებს, ტერფიდან თმისწვერამდის ჩაყვითლებულებს. ივლისის პაპანაქებაშიც დათბუნული იყვნენ ისინი, ციების უემურით იყო დაზაფრული მათი ჯერ გაუმაგრებელი, ნორჩი სხეული. ახლა მკვირცხლად დატანტალობენ ჭალადიდელი ბავშვები. ლოყები უღაჟღაჟებთ მათ. კოლხიდის მშენებლებმა გუდანაბადი აუკრეს ციებას მათი სოფლიდან.

კოლხიდის მშენებლებმა გაიყვანეს გზატკეცილები ფოთი-ყულევი, ფოთი-სუფსა, ფოთი-ჭალადიდი, ფოთი-სოფელი პატარა ფოთი. კოლხიდის მშენებლებმა წამოიწყეს უდიდესი გზატკეცილის გაყვანა ფოთსა და ბათუმს შორის. ეს გზატკეცილი გაივლის ხობის, ცხაკაიას, აბაშის, სამტრედიის, ლანჩხუთის რაიონებს, ნახევარრკალად შემოერტყმება კოლხიდის მთელ დაბლობს,—გაისისათვის უნდა მოთავდეს მისი მშენებლობა.

კოლხიდის ახალი სოფელი... მარტოოდენ სახელწოდება როდი ადასტურებს ამ სოფლის სიახლესა და სინორჩეს. ახალსოფელში ნამდვილად ახალია ყველაფერი: საცხოვრებელი სახლები, მესრები, რომლითაც შნოიანადაა ეზოები შემოკავებული, ალვისხეები, ევკალიპტები და ნარინჯოვნებიც. ამათ ეს-ეს არის ფესვები გაიდგეს მიწის წიაღში და შეიმაგრეს ტანი, ეს გზებიც ახალგაჭრილია, წყაროსწყალიც ახლახან გამოიყვანეს...

სკოლა, კლუბი, სამკითხველო, საექიმო პუნქტი, მოედანი,—ეს ახალსოფელია ასე გეგმიანად გაშენებული. ყოველ ეზოს შეღებილი, რიკულებიანი ჭიშკარი ამშვენებს, ეზოში კრამიტით გადახურული აივნიანი ოდასახლი დგას, აივანის წინ ჭადარი და ალვისხეა დარგული; სახლის უკან ბოსტანია გამართული, მარჯვნივ და მარცხნივ ხეხილის ხეებია ჩამწკრივებული, მეტწილად კი ნარინჯოვანთა ბაღია გაშენებული. ასეთია კოლხიდის ახალსოფლის ახალი მოსახლე.

კოლხიდის ახალი სოფელი... ბევრია ახალსოფელი კოლხიდაში: ფოთის გარეუბნებში, პატარა ფოთსა და ნაბადაში, ჭალადიდის ჭალებში, ხობისწყლის ნაპირებზე, რკინიგზის გასწვრივ.

პატარა ფოთი!

დაბა ქალაქს უფრო ჰგავს ის მოკირწყლული და დანომრილი ქუჩებით, მოსახლეთა სიხშირით, საზოგადოებრივ დაწესებულებათა სიმრავლით. მთელ კოლხიდაში უძლიერესია აქაური კოლმეურნეობა. პატარაფოთელ კოლმეურნეს წლიდან წლამდის სამყოფი სარჩო მოჰყავს, უხვად გააქვს ფოთის ბაზარზე სიმინდი, შინაური ფრინველი, ყველი და კარაქი...

ჰყვავის, იზრდება, მძლავრდება და ლამაზდება დღითი დღე პატარა ფოთი. აქ ნამყოფია საქართველოს მოჭირნახულე, ეს ადგილი მან მიიჩნია პირველ სამოსახლოდ, და უკაცრიელში სიცოცხლე ჩამოსახლდა, უმშვენიერესი სოფელი გაშენდა.

ქალაქ ფოთიდან ნაბადაზე გავლით ყულევში ჩავიდა ლავრენტი ბერია... ყულევი არც ერთ სოფელს არა ჰგავს საქართველოში. იგი მდინარისა და ზღვისაყარის ყურეშია ჩაბუდრებული. წყლისპირი ხმელეთზე მაღალია. მდინარის გაღმა-გამოღმა მცხოვრებნი მხოლოდმხოლოდ ნავებით მიმოდიოდნენ ერთმანეთთან. საკმარისი იყო მდინარის ოდნავ ადიდება—წყალი ადვილად გადალახავდა კალაპოტს, წყლით ივსებოდა სახლების ქვედასართული. ამიტომ ავდრიანობის მოლოდინში ყულეველებს მუდამ ფხიზლად ეძინათ.

მდინარის ნაპირების ჯებირებით გამაგრება და ფოთიდან ყულევამდის ახალი გზატკეცილის გაყვანა აუცილებლად მიიჩნია ლავრენტი ბერიამ. კიდეც შეუდგნენ საქმეს. ახლა ყულევს ვერ წალეკავს წყალდიდობა. ახალი გზაც უკვე გაიყვანეს ფოთამდის.

თვითონ ქალაქ ფოთში ყოველწლიურად გადმოდიოდა ნაპირებიდან მდინარე რიონი, წყლით იფარებოდა ქალაქის დიდი ნაწილი. ახლა ნაბადასთან შეერთვის შავზღვას რიონი, ახალ კალაპოტშია მომწყვდეული მოუსვენარი მდინარე.

ქალაქ ფოთის სამხრეთი გარეუბანი დაათვალიერა ლავრენტი ბერიამ. აქ არა თუ ხეები, მთელი ტყე იყო ჩამპალი ჭაობში, შმორის სუნი იდგა. ნიადაგი გასინჯეს სპეციალისტებმა, მცირე გათხრები ჩაატარეს გეოლოგებმა. გადაწყდა ამ ადგილზე გრეიპფრუტის მეურნეობა გაეშენებინათ.

ახლა ფოთის სამხრეთი გარეუბანი დამშვენებულია შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული გრეიპფრუტის უზარმაზარი საბჭოთა მეურნეობით! ჭაობში ჩაწოლილი და ჩამპალი ხეების ნაცვლად ამ ადგილზე ამჟამად ევკალიპტის ტყე შრიალებს.

კოლხიდის მშენებლებმა შარშან განაახლეს მუშაობა. თანდათან გაიზრდება ხმელეთი კოლხიდაში. მიმდინარე ხუთწლედში ოციათას ჰექტარს ამოაშრობენ. სამუშაოთა შარშანდელი გეგმა მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს. წლევანდელი გეგმა ერთიორად მეტია შარშანდელზე, სამუშაოებიც უფრო რთულია. ამ ახალ გეგმას მშენებლები უსათუოდ შეასრულებენ, რადგან კოლხიდაში სწრაფად მკვიდრდება მექანიზებული შრომა, ახალ-ახალი მანქანებით ივსება სატრანსპორტო პარკი, დღითი დღე მეტი და მეტი მშრომელი მოდის აქ სამუშაოდ.

* * *

კოლხიდის დედაქალაქია ფოთი.

რიონი ორ ნაწილად ჰყოფს ქალაქს—აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. დასავლეთი ნაწილი კუნძულია და მის ცენტრს ნავსადგური წარმოადგენს, აღმოსავლეთი ნაწილი კი კოლხიდის დაბლობის ბუნებრივი გაგრძელებაა.

ფოთი მარაოს სისტემაზეა დაგეგმილი—ქუჩები სწორია და თავს იყრის მოედნის ცენტრში. მოედანს სარტყელივით არტყია რუსთაველის პროსპექტი. მოედანზე აღმართულია ულამაზესი შენობა ფოთის სახელმწიფო თეატრისა. ეს მოედანი და ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი ხიდით უერთდება ლენინის პროსპექტს. ორი კილომეტრია პროსპექტის სიგრძე. ის ქალაქის შუაგულში იწყება და ზღვისპირამდის გრძელდება.

სანაქებო შრომას ეწევიან ფოთის მშრომელები ქალაქის კეთილმოსაწყობად.

ხიდი, რომელიც ქალაქსა და ნავსადგურს აერთებს, ამჟამად აყრილია. ათეული წლების წინათ ნიკო ნიკოლაძემ—ფოთის ქალაქისთავმა — ვაივაგლახით ააგო ხის ხიდი მდინარე რიონზე. ეს ხიდი ყოველწლიურად საჭიროებდა შეკეთებას, ამასთან ის ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის გაზრდილ მოთხოვნილებას, ვიწრო იყო. ფოთელებმა გადასწყვიტეს ამ ხიდის რეკონსტრუქცია, ნამდვილად კი ხელახლა აშენებენ მას. მხოლოდ წყალში დამაგრებული საყრდენებია დატოვებული ძველი ხიდისა. ახალი ხიდი ორნახევარი მეტრით ფართო იქნება, ვიდრე ძველი ხიდი იყო. ის შენდება რკინაბეტონისაგან. განუწყვეტლივ სწარმოებს მუშაობა ხიდზე, დღისა და ღამის ბრიგადები სცვლიან ერთმანეთს. რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ხიდი დაამშვენებს ქალაქ ფოთს.

ფოთის მშრომელები აშენებენ კანალიზაციის ქსელს. ეს საქმე აქ უფრო საძნელოა, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქში. აქაური ნიადაგი მდიდარია წყლით. საკმარისია მიწის ოდნავ ამოჩიჩქნაც კი, რომ წყალი ჩადგება ამოთხრილში, ფოთელები კი სამი მეტრის სიღრმეში აწვენენ საკანალიზაციო მილებს. გასაყვანი მაგისტრალის რამდენიმე ადგილზე ათი მეტრის სიღრმის ბეტონის ჭაა ამოშენებული — მოძალებული წყალი გროვდება ჭაში, წყალსაქაჩი მილებით სწოვენ მას, „აშრობენ" ამოთხრილ კალაპოტს. საკანალიზაციო მილებიც ფოთშია დამზადებული, ისინი ბეტონისაა. მე აქ ვნახე საქართველოს მრავალი ქალაქიდან ჩამოსული ინჟინრები. ფოთელი სპეციალისტები მათ ხალისით განუმარტავენ ბეტონისაგან კანალიზაციის მილების დამზადების ხერხს.

ვაჟკაცურად, დაუღალავად მუშაობენ ფოთის მშრომელები საყვარელი ქალაქის კეთილმოწყობისათვის. მათ დაივალეს, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში მოათავონ კანალიზაციის პირველი რიგის სამუშაოები. საჭირო ხელსაწყო აქვთ, მილებიც მზად არის, ენერგია და საქმისადმი სიყვარული არ აკლიათ. და როცა მათ მუშაობას უყურებ—გრძნობ მომეტებულ სიყვარულს მშობლიურისადმი, მშენებელთა დაუშრეტელ ენერგიას, შეუნელებელ სწრაფვას უკეთესისაკენ.

სწრაფად იზრდება ქალაქი ფოთი. შენდება ახალი საწარმოები, კულტურის კერები, მრავლდება მოსახლეობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს ფოთში თორმეტი სკოლა იყო და ათას• მოსწავლე. ამჟამად სამას ორმოცდაათი მასწავლებელია, ოცდაექვსი სკოლა და ექვსიათასხუთასი მოსწავლე. ქალაქში თხუთმეტი საბავშვო ბაღია და ოთხი ბაგა, საზამთრო და საზაფხულო თეატრები და კინოთეატრები, კულტურის სახლი, ოთხი მუშათა კლუბი, თხუთმეტი ბიბლიოთეკა. ამ კლუბებთან და სკოლებთან ჩამოყალიბებულია ლიტერატურული და დრამატიული წრეები, მომღერალთა და მეჩონგურეთა გუნდები, — ხალისით კითხულობენ წიგნებს, ასცენიურებენ დრამატიულ ნაწარმოებს, ხელოვნდებიან სიმღერასა და დაკვრაში.

ერთმა ხანდაზმულმა ექიმმა გაიხსენა: ოცდახუთი წლის წინათ ქალაქის ბაღის კუთხეში შეშის საწყობისმაგვარი შენობა იდგა. აქ იყო მოთავსებული ქალაქ ფოთის ამბულატორია. არავითარი კლინიკა, საექიმო პუნქტი არ იყო. საავადმყოფოზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. მხოლოდ ერთი ექიმი და ოთხი ექიმის თანაშემწე იყო მთელს ქალაქში. წამალს ექიმი თვითონ „ამზადებდა". უმთავრესი წამალი იყო „ტიბუ". თქვენ არ გეცოდინებათ რა არის „ტიბუ", მე აგიხსნით: ეს წყალში მოხარშული ღერღილია. „ტიბუში" ბლომად ჰყრიან დანაყილ და დაუნაყავ წიწაკას, ასევე მარილსაც, ამ წამლით ჰკურნავდნენ მალარიაშეყრილებს, გაჭვალულებს. საოცარი თავის ტკივილი იცის „ტიბუმ". ამის გამო ხშირად შეხვდებოდა მგზავრი კოლხიდაში თავწაკრულ ქალებსა და მამაკაცებს... როგორ წავიდა წინ მკურნალობის საქმე! მარტო ქალაქ ფოთში ოცდაათამდე სამკურნალო დაწესებულებაა, ორმოცდახუთი ექიმი და სამასი ექიმის თანაშემწე მუშაობს. მთავრობა ყოველწლიურად სამ მილიონ მანეთს ხარჯავს ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცავად. საკუთარი თვალით უნდა ნახოთ რა სანიმუშოდ არის მოწყობილი ჩვენი საავადმყოფო, ჩვენი კლინიკა, ჩვენი ამბულატორიები.

... მე ფოთის მკვიდრი ვარ. ჩემს თვალწინ ხდება საოცარი ცვლილებები ქალაქის ცხოვრებაში. ახლა რომ წარა-მარა დასრიალებენ მსუბუქი მანქანები ჩვენი ქალაქის ასფალტირებულ და გამწვანებულ ქუჩებზე—აქ გაუვალი ჭაობი იყო. ჭალადიდის კამეჩები ხომ გინახავთ? ის განთქმული ჭალადიდის კამეჩები ვაი-ვიშით გაატარებდნენ ამ გზებზე მსუბუქად დატვირთულ ურემს. მხოლოდ ნავებით ჩამოგვქონდა შეშა სირიაჩქონიდან, ჭალადიდის ტყეებიდან. სურსათ-სანოვაგეც ნავებით მოგვქონდა რკინიგზის სადგურის ხიდამდის და შემდეგ ჩვენი ტრანსპორტი ჩვენივე მხრები იყო. ახლა მანქანების მსგავსად წარა-მარა დაჰქრიან მატარებლებიც და ყოველ დღე რამდენი მოტორიანი ნავი და სატვირთო გემი შემოდის ჩვენი ქალაქის ნავსადგურში!

ჰყვებოდა ქალაქის ძველსა და ახალ ამბავს ჭაღარა ექიმი და მე ვხედავდი—მის მოჭუტულ თვალებში ენთო სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი.

არათუ მკვიდრს, ახლადჩასულსაც მალე შეუყვარდება ზღვისპირის ეს ლამაზი ქალაქი. ჭადრები, ევკალიპტები, კეთილშობილი დაფნა და გუნდის ხეები აჩრდილებენ ჯუღაშვილის, მოლოტოვის და მალანიას ქუჩებს. ყველა ქუჩაზე ასფალტია დაგებული. თვითეული მათგანი ისეა გამწვანებული, რომ ხეივანსა ჰგავს.

ფოთს თაიგულივით ამკობს ასფალტირებული დიდი მოედანი, იგი ომიანობის წლებში გამართეს ფოთელებმა, მოედანზე ბელადის მონუმენტია აღმართული.

... ომის მრისხანება და სიმკაცრე განიცადა ფოთმა.

ფოთი ამარაგებდა სევასტოპოლისა და ოდესის გმირ დამცველებს, ნოვოროსიისკის, ტუაფსესა და ტამანის ნახევარკუნძულის ბრძოლის გმირებს. და მტერმაც განსაკუთრებულად ამოიჩემა ქალაქი — გერმანელთა თვითმფრინავები ხშირად ზვერავდნენ და ბომბავდნენ მას. ჩვენი სანაპირო ქალაქი ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მტერს, შეუსვენებლივ მუშაობდა დღისით და ღამითაც.

ომი დამთავრდა და კოლხიდელებმა გააცხოველეს მშენებლობა.

სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები დაამშვენებს ქალაქ ფოთს. ცენტრში, სადაც ამჟამად ბაზარია, გაშენდება ადმინისტრაციული სახლი. ნარიონალის კეთილმოწყობის გეგმას, რომელიც კოლხიდელებმა ომის დაწყების წინ შეადგინეს, ახლა ახორციელებენ: მას ამოაბეტონებენ, რიონიდან საჭირო რაოდენობით შემოუშვებენ წყალს და რკინიგზის სადგურიდან ზღვის შესართავამდის ორივე ნაპირზე გაიყვანენ სანაპირო ქუჩებს. ჩუქურთმიანი მოაჯირები, სკვერები, პავილიონები დაამშვენებენ მცირე ხნის შემდეგ იმ ადგილს, სადაც ახლა წყალია ჩამდგარი და წყალზე „მინდორია ამოსული."

განსაკუთრებული სიყვარულით აღადგინეს და გაალამაზეს ფოთის მშრომელებმა ომიანობის დროს დაზიანებული ნავსადგური. ყოველი პატარა ქუჩის თავბოლოში ფერად-ფერადი ყვავილებით დამშვენებული სკვერია მოწყობილი. ახლო მომავალში ნავსადგურში ააგებენ ახალ პავილიონს. დღითი დღე იზრდება გემების მიმოსვლა და ტვირთბრუნვა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ნავსადგურის რეკონსტრუქცია. ეს სამუშაო გათვალისწინებულია ახალ სტალინურ ხუთწლედში. ახალი ნავსადგურის მშენებლობა წელსვე დაიწყება.

ქალაქის ცენტრში, ბაღის კიდესთან სურათების ვიტრინაა მოწყობილი, ქალაქის მთელი მშენებლობა, კოლხიდელების ახალი გეგმები, ფოთის მშრომელთა საგულისხმო მიღწევები ფოტოსურათებით არის აღბეჭდილი ამ ვიტრინაზე. ვიტრინაში თავიანთი ადგილი აქვთ მიჩენილი სამამულო ომის სახელოვან გმირებს, უშიშარ და სახელმოხვეჭილ მეზღვაურებს,—შრომის ოსტატებს, სწავლის ფრიადოსნებს... კოლმეურნეობათა ბრიგადირები, მეაბრეშუმე ქალები, კოლხიდის სამუშაოთა მოწინავენი იმზირებიან ვიტრინის ჩარჩოებიდან... ყოველ ქალაქს დაამშვენებს ასეთი ვიტრინა.

* * *

ზღვისპირა ქალაქში დიდია ახალგაზრდობის სწრაფვა სპორტისადმი. ახლა სკოლებში მეცადინეობა მოთავებულია და ფოთის პატარა მოედნებზე ბავშვები ბურთს თამაშობენ, ჯოხის ცხენებს დააჯირითებენ, ზღვაში ბანაობენ. მოზრდილთა გუნდები ქალაქის პირველობაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს კალათბურთსა და ჩოგბურთში, ფეხბურთსა და ცურვაში, სიმაღლიდან წყალში გადახტომაში, სირბილში.

აქამდე არ იყო ფოთში კარგად მოწყობილი მოედანი სპორტსმენებისათვის. წელს ფოთის ახალგაზრდობა მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს: ქალაქის სამხრეთით, შავი ზღვის პირზე შენდება იპოდრომი, რომლის შიდა წრეში მოეწყობა ფეხბურთის მოედანი.

არავინ იფიქრებდა ამ ახლო წარსულშიაც, რომ ამ ადგილას ასეთი რამის მოწყობა შეიძლებოდა, — იგი ლაქაშიანი, ხავსიანი, აშმორებული იყო ერთი თვის წინათაც. ახლა კი ქალაქის მოსახლეობის მეტი ნაწილი ამ გზით მოეშურება ზღვისპირისაკენ, აქ სუფთა და დაწმენდილია ზღვა. სწორედ ერთ თვეში ფოთელებმა სახე შეუცვალეს ამ მიდამოს, ზღვამდის გაიყვანეს წყალსაწრეტი არხები, რამდენიმე ათასი კუბმეტრი მიწა და სილა მოაყარეს. კიდევ ერთი თვეც და აქ მოეწყობა ულამაზესი იპოდრომი, ფეხბურთის მოედანი. რამდენიმე ათასი მაყურებელი თავისუფლად მოთავსდება ტრიბუნებზე. მწვანე მინდორი, ფერადი მოაჯირებითა და წითელი დროშებით შემკობილი, სულ ახლოს მოლივლივე ზღვა, მოჯირითე ცხენების ფლოქვების თქარუნი თანაბრად მოხიბლავენ მაყურებელს.

— ჩვენი კოლმეურნეები, — გვითხრა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გრიგოლ კოკაიამ, — ახალგაზრდაც და მოხუციც ულრესად დაინტერესებულია ცხენოსნური სპორტით. ეს საქმებით ბუნებრივია — ცხენი მეგრელი გლეხის განუყრელი თანაზიარი იყო ლხინსა და ჭირში. კარგად გაწვრთნილი ცხენებით უმკლავდებოდნენ მეგრელები მოსეულ მტერს, ბნელ ღამეშიაც თამამად მიიკვლევდნენ გზას. დააკვირდით—როგორი გულისყურითა და მონდომებით ემზადებიან ჩვენი კოლმეურნეები საცხენოსნო შეჯიბრებისათვის. ისინი სათუთად უვლიან და წვრთნიან ცხენებს, ეჯიბრებიან ერთმანეთს ჩეხვასა და ისინდში, სიძნელეთა გადალახვაში, მოქნევასა, ჯირითსა და მარულაში, ნიშანში ესვრიან გაჭენებული ცხენიდან, თავადაც ხელოვნდებიან მოწინააღმდეგესთან შემართებაში. ჩვენი რაიონის კოლმეურნეებისათვის, ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობისათვის ვაშენებთ ამ იპოდრომსა და მოედანს...

— კოლხიდაში, — განაგრძობდა საქალაქო კომიტეტის მდივანი, — ნაკლებადაა საკურორტო ადგილები. ამას განსაკუთრებულად განიცდის მოზარდი თაობა. ჩვენი ქალაქის ბავშვები ყოველ ზაფხულს მიგვყავს ბორჯომის ხეობაში და სურამში. ეს ადვილი როდია. ამიტომ საფუძვლიანად შევისწავლეთ ქალაქ ფოთთან ახლოს მდებარე მალთაყვა და დავასტურდა, რომ ის საუკეთესო საკურორტო ადგილია. მისი ჰავა განსაკუთრებით ამკვრივებს და აჯანსაღებს მოზარდის სხეულს. ჩვენ უკვე შევუდექით ამ ადგილის კეთილმოწყობას. ვაშენებთ ზღვის ფიჭვის ტყეს. ორიოდე წელში გავაშენებთ კურორტ მალთაყვას. ის მომსახურებას გაუწევს დასავლეთ საქართველოს რაიონების ბავშვებს...

* * *

ნავსადგურიდან ვბრუნდებოდი. რიონის ხიდზე გამოვლისას შევნიშნე—ივანე სიჭინავას მანქანა დგაფუნობდა წყალში, ძირფესვიანად სთხრიდა წყალში ამოსულ ბალახს და ისროდა ნაპირზე.

მანქანით უნდა გაიაროთ გზა ქალაქ ფოთიდან ცხაკაიამდის, ნახავთ იმ ახალ, ლამაზ, ხეხილის ბაღებით დამშვენებულ სოფლებს, რომლებიც ნაჭაობარზე აღმოცენდნენ!

წლითიწლობით ასეთი ახალი სოფლები მომრავლდებიან კოლხიდის ბარაქიან დაბლობზე.

ბელადის თვალმა გადმოხედა კოლხიდას,—
ნათელი მოეფინა კოლხიდის დაბლობს!

მზნიბარე კოლხიდელმა განჭვრიტა კოლხიდის ნანატრი მომავალი!

ალიო ადამია

ივლისი. ქალაქი ფოთი.

მარშალ ტიტოს გამოსვლა დუბროვნიკში

ბელგრადი, 25 ივლისი. (საქდესი). მარშალი ტიტო, რომელიც დალმაციაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოგზაურობს, დუბროვნიკში შეხვდა მასობრივი სახალხო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საუბარი ეხებოდა მრავალ საშინაო პრობლემას, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო საკითხს. ტიტომ აღნიშნა, რომ მეტად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გადასახადების აკრეფა მთლიანად იუგოსლავიაში და სთქვა, რომ სახალხო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმატებას წარმოადგენს დინარის სტაბილიზაცია, „რომელიც ერთ-ერ-[illegible]

[illegible] ჩვენი უფლებები. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი, რამდენადაც შეეძლო იბრძოდა ჩვენი სამართლიანი საქმისათვის, მაგრამ იძულებული გახდა დაეთმო, რომ კონფერენცია კრახით არ დამთავრებულიყო".

უპასუხა რა ერთ-ერთი დამსწრის რეპლიკას, ფრანგები, როგორც იუგოსლავიის ტრადიციული მეგობრები, იუგოსლავიის მხარეზე რომ იყვნენ, ხმათა თანაფარდობა ორით ორი იქნებოდა, ტიტომ აღნიშნა: ერთ ფრანგ გენერალთან საუბარში უკვე ვთქვი: იუგოსლავები ამ მეგობრობაში მაშინ დარწმუნდებიან, როცა [illegible]

[illegible] მორეებმა ეს არ შეასრულეს".

„საზავო კონფერენციაზე, — განაგრძო ტიტომ, — ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა გავასწოროთ ის საზღვრის ხაზი, რომელზეც შეთანხმდა ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაში ჩვენ მონაწილეობა ვერ მივიღეთ და ვერ დავიცავით [illegible] პრობა. ამით იუგოსლავიას არავითარი ზიანი არ მოუვა. „ჩვენ ნებას არავის მივცემთ, რომ მანქანებისა და სხვა დახმარების საშუალებით, — ხაზგასმით აღნიშნა ტიტომ,— თავს მოგვახვიონ თავიანთი კონცეფციები და პოლიტიკური გავლენა მოახდინონ ჩვენზე. ჩვენ ეს არა გვსურს".

მდგომარეობა ტრიესტში

ბელგრადი, 25 ივლისი. (საქდესი). ბელგრადის რადიო იუწყება, რომ ტრიესტის საპყრობილეებში მოთავსებულია საყოველთაო გაფიცვის დროს დაპატიმრებული ბევრი ანტიფაშისტი. ზოგიერთ მათგანს კატორღა აქვს მისჯილი.

ანტიფაშისტებისადმი ასეთი მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 22 ივლისს დილით საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს შენობის წინ ტრიესტში თავი მოიყარა ქალების ჯგუფმა. მან თავისი რიგებიდან გამოჰყო დელეგატები, რათა სამოკავშირეო სამხედრო ადმინისტრაციის სამოქალაქო საქმეთა ოფიცრის პოლკოვნიკ ბოუმენისათვის გადაეცა საპროტესტო წერილი საპყრობილეებში ანტიფაშისტთა მოთავსების წინააღმდეგ. პოლკოვნიკმა ბოუმენმა დელეგაციას უარი უთხრა მიღებაზე. პოლიციამ უხეშად გარეკა ქალები, მაგრამ სადილობის შემდეგ ისინი კვლავ მოვიდნენ საპროტესტო წერილით. საოკუპაციო ხელისუფლებმა უარი სთქვეს წერილის მიღებაზე, ვინაიდან იგი სლოვენურ ენაზე იყო დაწერილი.

ტრიესტელმა მუშებმა გადასწყვიტეს დეპეშა გაეგზავნათ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისათვის, რათა მადლობა გადაეხადნათ იმ დახმარებისათვის, რაც ფედერაციამ მათ საყოველთაო გაფიცვის დროს გაუწია. მაგრამ საფოსტო სამმართველომ უარი უთხრა დეპეშის მიღებაზე.

გაზეთმა „გლას ისტრემ" გამოაქვეყნა ცნობა თავისი ტრიესტელი კორესპონდენტისა, რომელიც აგწერს ტრიესტში არსებულ მდგომარეობას. სტატია ილუსტრირებულია ორი ფოტოსურათით, რომლებიც ყველაზე უკეთესად ახასიათებენ იმას, რაც ამ ქალაქში ხდება. ერთ ფოტოსურათზე ნაჩვენებია ქალთა ანტიფაშისტური კავშირის ტრიესტის საქალაქო კომიტეტის შენობა ფაშისტ ბანდიტთა თავდასხმის შემდეგ. შენობა დანგრეულია. ავეჯი მეტწილად მისპობილია. მეორე ფოტოსურათი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უდავოდ ადასტურებს სამოქალაქო პოლიციის პასუხისმგებლობას ტრიესტში მომხდარი უწესობისათვის. ფოტოსურათზე ნაჩვენებია, ფაშისტები როგორ ჰყრიან ინვენტარს ტრიესტის ზღვისპირელ პარტიზანთა კავშირის შენობიდან; კოცონზე იწვის უკვე გადმოყრილი ავეჯი. კოცონთან და შენობის შესასვლელთან დგას შვიდი პოლიციელი, რომლებიც გულგრილად უცქერიან იმას, რაც ხდება.

დაპატიმრებანი კარინთიაში

ბელგრადი, 24 ივლისი. (საქდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ ამ უკანასკნელ ხანს საოკუპაციო ხელისუფლებმა კარინთიაში ჟანდარმერიასთან ერთად მნიშვნელოვანი რაოდენობით დააპატიმრეს კარინთიის სლოვენები, რომლებიც ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. კარინთიის მოსახლეობა მეტად აღშფოთებულია ამ დაპატიმრებათა გამო. კარინთიელი სლოვენები მოითხოვენ, რომ სლოვენური კარინთია რაც შეიძლება მალე შეუერთდეს იუგოსლავიას, რათა, ბოლოსდაბოლოს, ხალხმა მიიღოს თავისუფლება და უზრუნველყოფილ იქნას უფლებებით, რისთვისაც იგი ასე მტკიცედ იბრძოდა და არ ერიდებოდა მსხვერპლს.

შესწყდა მოლაპარაკება იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და მეწარმეთა შორის

რომი, 25 ივლისი. (საქდესი). იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაცხადა, რომ შესწყდა მოლაპარაკება იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და მე-[illegible] შრომის საყოველთაო კონფედერაციამ უარჰყო მეწარმეთა პროვოკაციული მოთხოვნები.

მოლაპარაკების შეწყვეტის გამო „რესპუბლიკის პრემიის" ანაზღაურების საკითხი მინისტრ-[illegible] ნათ დაიწყო და ეხება „რესპუბლიკის პრემიის" ანაზღაურებას. „რესპუბლიკის პრემიის" ანაზღაურების პირობად მეწარმეებმა ულტიმატუმის წესით წამოაყენეს ისეთი მიუღებელი მოთხოვნები, როგორიცაა ხელფასის შემდგომი მომატების აკრძალვის შემოღება და „პროფკავშირული აგიტაციის" სრულიად შეწყვეტა. იტალიის [illegible] განსახორციელებლად საკანონმდებლო წესით გაატაროს პრემიების ანაზღაურება უკლებლივ ყველა მშრომელისათვის".

გაზეთი „უნიტა" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ იტალიის მრეწველნი შეგნებულად უწევენ საბოტაჟს ახალი მთავრობის საქმიანობას.

გერმანული ჯაშუშურ-დივერსიული ცენტრის საქმიანობის შესახებ ფინეთში

ჰელსინკი, 24 ივლისი. (საქდესი) როგორც დღეს ფინეთის დედაქალაქის გაზეთები იუწყებიან, ფინეთში აღმოჩენილი გერმანული ჯაშუშურ-დივერსიული ცენტრის „ზონდერკომანდო ნორდის" საქმიანობას ფართო ხასიათი ჰქონდა. „ზონდერკომანდო ნორდის" პოლიტიკურ მრჩევლად გერმანიაში იყო დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების დადების შემდეგ ფინეთიდან გაქცეული კომერსანტი აარნე რუნოლინა. ჯაშუშურ ცენტრსა და ფინეთის ფაშისტურ იატაკქვეშეთს შორის, რომელიც ყოფილი „ფრონტელთა კავშირის" წევრებისაგან შესდგებოდა, კავშირურთიერთობის ხელმძღვანელი იყო რედაქტორი იანსონი. გერმანიასთან კავშირურთიერთობას ახორციელებდნენ რადიოსადგურის შემწეობით.

ჯაშუშურ და ცნობების შესაკრებ საქმიანობას გარდა, „ზონდერკომანდო ნორდი" დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე დივერსიების მოწყობის ხაზით, გერმანიიდან ილებდა იარაღს, ყუმბარებს, ფეთქებად ნივთიერებებს და საწვავს საჰაერო გზით და წყალქვეშა ნავებით. გერმანიაში სკინზინგენის მიდამოებში შექმნილი იყო რადიოკავშირისა და დივერსიების ტექნიკის სპეციალური კურსები.

1944 წლის შემოდგომაზე იანსონმა წინადადება მისცა ინჟინერ-პოლიკოვნიკ ოიპან კრისტიან ფაბრიციუსს გამგზავრებულიყო გერმანიაში, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინა ფინეთში დივერსიული მუშაობის ორგანიზაციის მეთოდების შესახებ. 1945 წლის 12 იანვარს ფაბრიციუსი კრისტიანკაუპუნკში გერმანიის წყალქვეშა ნავში ჩასვეს და გერმანიაში ჩაიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანიიდან გერმანული წყალქვეშა ნავით ფინეთ ჩაიდინენ „ზონდერკომანდო ნორდის" ხელმძღვანელები ცელარიუსი და ბროსი, პოლიტიკური მრჩეველი რუნოლინა და ფინეთის არმიის ლეიტენანტი სეპო ველი პიკილია. წყალქვეშა ნავი იარაღის გადმოტვირთვისა და დოკუმენტების ჩატვირთვის შემდეგ გერმანიაში დაბრუნდა. დოკუმენტებს შორის იყო ანგარიში ფინეთის თავდაცვის ახალი ორგანიზაციის შესახებ და ცნობები ფინეთში მყოფი საბჭოთა ჯარების დისლოკაციისა და რაოდენობის შესახებ.

1945 წლის 20 თებერვალს ფაბრიციუსი და ერთი ჯაშუში გერმანიიდან თვითმფრინავით უკანვე ფინეთში გაფრინდნენ. ისინი პორის რაიონში პარაშუტებით ჩამოუშვეს ვალკიარვის ტბის ყინულზე პომარკუში. კვლავ ფინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენის შემდეგ ფაბრიციუსმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა იანსონთან, სუნდჰოლმთან და სამთო მრჩეველ ფორსტრემთან, რომლებსაც უამბო გერმანიაში თავისი გამგზავრების შედეგების შესახებ.

როგორც პრესა იუწყება, ჯაშუშური ცენტრის მონაწილეებს ბრალდებას წაუყენებენ სახელმწიფო ღალატში. უახლოეს ხანში სახელმწიფო პოლიცია ტურკუს სოლეპი სასამართლოს გადასცემს კვლევა-ძიების მასალას ამ საქმეზე. ამ საქმის გამო, გარდა იმ პირებისა, რომელთა დაპატიმრების შესახებაც პრესა წინათ იტყობინებოდა, სახელმწიფო პოლიციამ წინასწარ დააპატიმრა პოლკოვნიკი ფაბრიციუსი, კაპიტანი ტერნი და ლეიტენანტი ჰეიკილა.

ეგვიპტისა და ერაყის მიმართვები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ა. ა. სობოლევმა გამოაცხადა, რომ 25 ივნისს ეგვიპტის მთავრობამ გენერალურ ასამბლეას მიმართა ნოტით, რომელშიც სთხოვს განიხილოს შემდეგ სესიაზე პალესტინის სიტუაცია. ა. ა. სობოლევმა გამოსაქვეყნებლად გადასცა აგრეთვე ტექსტი ეგვიპტისა და ერაყის მთავრობათა იმ მიმართვებისა პალესტინის საკითხზე, რომლებიც თავდაპირველად ინგლისის კაიროსა და ბაღდადის საელჩოებს წარედგინათ 20 და 19 ივნისს.

ეგვიპტის მთავრობის ნოტაში ნათქვამია, რომ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს უგზავნის ბრიტანეთის მთავრობისათვის გაგზავნილი წერილის პირს, და სთხოვს ყურადღება მიაქციოს ამ წერილის შინაარსს, რათა იქ აღნიშნული წინადადებანი წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მის შემდეგ სესიაზე.

ნოტას დართული აქვს პირი ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის 20 ივნისის წერილისა ინგლისის კაიროელი ელჩის კემპბელისადმი. ამ წერილში გამოთქმულია მწუხარება პალესტინაში ამჟამად არსებული სიტუაციის გამო და აღნიშნულია, რომ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნის მცხოვრებთა ეროვნულ მისწრაფებებს.

ეგვიპტის მთავრობას, ნათქვამია წერილში, „რომელიც მოქმედებს სხვა არაბულ ქვეყნებთან — სირიასთან, ტრანსიორდანიასთან, ერაყთან, საუდის არაბეთთან, ლიბანსა და იემენთან — შეთანხმებით, პატივი აქვს სთხოვოს ბრიტანეთის მეფის მთავრობას აწარმოოს მოლაპარაკება მათ სათანადო წარმომადგენლებთან იმ შეთანხმებაზე, რომლის მიზანია ბოლო მოეღოს აბლანდელ სიტუაციას პალესტინაში და შეიქმნას ახალი რეჟიმი გაერთიანებული ერების წესდებაში გამოთქმული პირობებისა და მიზნების საფუძველზე. რამდენადაც ეგვიპტის მთავრობა სთვლის, რომ ასეთი მოლაპარაკება უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მალე, იგი იმედს გამოსთქვამს, რომ ეს მოლაპარაკება შესდგება უახლოეს ხანში, რათა შეთანხმება დაიდოს გენერალური ასამბლეის მომავალ — 1946 წლის სექტემბრის სესიამდე".

ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროს 19 ივნისის მიმართვა ინგლისის ბაღდადელი ელჩისადმი ანალოგიური შინაარსისაა.

ვიცე-ადმირალ ბლენდის განცხადება ატომური ბომბის წყალქვეშა გამოცდის შესახებ

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბიკინის ატოლის რაიონიდან (მარშალის კუნძულები წყნარ ოკეანეში) იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და საზღვაო სამინისტროების ატომური ბომბის გამოცდის ჩამტარებელი სპეციალური გაერთიანებული რაზმის ხელმძღვანელმა ვიცე-ადმირალმა ბლენდიმ დღეს ოფიციალურად განაცხადა, რომ ატოლის რაიონში მოახდინეს ატომური ბომბის წყალქვეშა აფეთქება. იქ თავმოყრილი რამდენიმე ათეული გემიდან, მათ შორის რამდენიმე წყალქვეშა ნავიდან, ბლენდის სიტყვით, აფეთქების შედეგად ჩაიძირა სახაზო გემი „არკანზასი", ბეტონის ნავთის კარჭაპი და ტანკსადესანტო კარჭაპი. „რაც შეეხება ექვს ნავს იმ რვა წყალქვეშა ნავიდან, რომლებიც წყალში ჩაშვებული იყვნენ გამოცდისათვის, — სთქვა ბლენდიმ, — ჯერ არ ვიცით ჩაძირულია თუ არა რომელიმე მათგანი. არც ერთი მათგანი არ ამოტივტივებულა, ორი კი ჰაერიდან მოსჩანდა კვლავ წყალში. ავიამზიდი „სარატოგა" მარჯვნივ და კიჩოთი დაზიანდა, მისი საკვამლე მილის ნახევარი გემბანზე იდო. მცირეოდენად დაზიანდა იაპონური სახაზო გემი „ნაგატოც".

ბლენდიმ აღნიშნა, რომ სათვალთვალო პუნქტიდან, რომელიც აფეთქების ადგილიდან 14,5 კილომეტრზე, მოსჩანდა, რომ აფეთქების შემდეგ გაჩნდა უზარმაზარი წყლის სვეტი, რომლის სიმაღლე 1.500 მეტრს აღწევდა. აფეთქების შედეგად წარმოშობილი ვებერთელა ტალღა მალე გაიფანტა და, როცა ბიკინის კუნძულს მიაღწია, მხოლოდ 2-3 მეტრს უდრიდა სიმაღლით. ტალღას არ დაუფარავს ბიკინის კუნძული, მაგრამ დაფარა მის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულები. კუნძულის ყურეს გარეშე მყოფი გემები არ დაზიანებულა არც ტალღის, არც წყალქვეშა ბიძგის მოქმედებით. არავითარი წყალქვეშა მიწისძვრა არ მომხდარა, აგრეთვე არ შეგვიმჩნევია რაიმე სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლოთ დაეზიანებინათ სხვა რაიონები. აფეთქების მოქმედება მხოლოდმხოლოდ ადგილობრივია.

ახალი ცნობები ბრაზილიის ექსპორტისადმი ინგლისის კონტროლის შესახებ

რიო-დე-ჟანეირო, 25 ივლისი. (საქდესი). 23 ივლისს გაზეთებმა „კორეიო და მანიანმა" და „ჟორნალ დე ბრაზილმა" გამოაქვეყნეს ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ საზღვაო ტვირთზიდვაზე ინგლისის ნებადაურთველად არ შეიძლება არაფრის გატანა ბრაზილიიდან. მაგალითად, ამას წინათ, სწერს გაზეთი, აკრძალულ იქნა 230 ათასი ტომარა ლობიოს გატანა ესპანეთში. პორტუგალიის მიმართ ინგლისის კონტროლი ვრცელდება არა მარტო კომერციულ ოპერაციებზე, არამედ მგზავრების გადაყვანაზეც. ბრაზილიიდან პორტუგალიაში წასვლა შეიძლება მხოლოდ ინგლისის რიო-დე-ჟანეიროს საკონსულოს ნებართვით.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

ნიურნბერგი, 22 ივლისი. (საქდესი). დღეს დილის სხდომის დასაწყისში ტრიბუნალმა განიხილა დაცვის შუამდგომლობანი და მოისმინა ბრალდების აზრი იმ დოკუმენტთა წარდგენის შესახებ, რომელნიც ეხებიან სს და სა ორგანიზაციებს, ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელ შემადგენლობას, გესტაპოს, შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლობას და გერმანიის ყოფილი არმიის გენერალურ შტაბს.

შემდეგ ტრიბუნალი გადავიდა ბრალდებულ ზაის-ინკვარტის დამცველ ადვოკატ შტაინბაუერის სიტყვის მოსმენაზე, რომელმაც წამოაყენა ვერსია, რომ მის მარწმუნებელს თითქოს არ შეეძლო გამოეცა ბრძანებანი, რაც პოლიციის კომპეტენციას ეხებოდა, და ჩარეულიყო მის საქმიანობაში.

დამცველმა აღიარა ჰოლანდიაში ებრაელთა მასობრივი მკვლელობის ფაქტები, ყოველივე ამას ბრალად სდებდა ჰიტლერსა და ჰიმლერს და ყოველნაირად იცავდა თავის მარწმუნებელს.

ადვოკატ შტაინბაუერის სიტყვის დამთავრების შემდეგ ტრიბუნალმა პულტთან გამოუძახა ადვოკატ ბერგოლდს. ბერგოლდი იცავს ბრალდებულ ბორმანს, რომელიც სასამართლოს არ ესწრება. წინა გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, დამცველი სადავოდ ხდის იმას, უფლებამოსილია თუ არა ტრიბუნალი გაასამართლოს ბრალდებული ბორმანი, რომელიც თითქოს „არრდადის სამეფოში" იმყოფება. ამასთან დაკავშირებით ტრიბუნალის თავმჯდომარემ დამცველს მიუთითა, რომ მას საკმაო დრო ჰქონდა აღეძრა შუამდგომლობა ბრალდებულ ბორმანის საქმის მოსმენის შესახებ ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამო. ტრიბუნალი, ამბობს თავმჯდომარე, არ აპირებს მოისმინოს ასეთი არგუმენტები ან გადასინჯოს ეს საკითხი. მიუხედავად თავმჯდომარის ამ განცხადებისა, ადვოკატი მიუთითებს ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაზე და ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ბრალდებული ბორმანი მკვდარია და ამიტომ მისი საქმე მოსმენილ არ უნდა იქნას.

ადვოკატ ბერგოლდის სიტყვის გაგრძელება გადატანილია საღამოს სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 22 ივლისი. (საქდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე ბრალდებულ ბორმანის დამცველი ადვოკატი ბერგოლდი განაგრძობდა დასაცავ სიტყვას.

ადვოკატი ბერგოლდი გაურბოდა ბრალდებულ ბორმანისათვის წაყენებულ ბრალდებათა გარჩევას იმ საბაბით, რომ მას „არ სურს ერთ წაართვას მაღალ სასამართლოს... ცალკეული წერილმანების განხილვით". დამცველი დაუსაბუთებლად აცხადებდა, თითქოს მარტინ ბორმანი დამოუკიდებელ როლს არ ასრულებდა ჰიტლერული პარტიისა და ჰიტლერული იმპერიის ხელმძღვანელობაში, ვინაიდან თითქოს მხოლოდ შუალედ, გადამცემ ინსტანციას წარმოადგენდა ჰიტლერსა და ქვემდგომ ინსტანციებს შორის.

ადვოკატი ბერგოლდი მთელი თავისი სიტყვის განმავლობაში თავგამოდებით იცავდა ტრიბუნალის მიერ უარყოფილ ვერსიას ბორმანის „სიკვდილის" შესახებ, ხოლო დასასრულ მაინც მოულოდნელად წინადადება წამოაყენა „გადაიდოს ბორმანის დანაშაულობათა განხილვა და მის საქმეზე განაჩენის გამოტანა იმ მომენტამდე, როდესაც ბრალდებულის დაკითხვა პირადად იქნება შესაძლებელი".

შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბრალდებულ პაპენის დამცველს ადვოკატ კუბუშოკს. დამცველი თითქმის მთელი სხდომის განმავლობაში ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს მისი მარწმუნებლის საქმიანობა მიმართული იყო „დამშვიდებისაკენ".

დამცველ კუბუშოკის გამოსვლის გაგრძელება გადატანილია 23 ივლისის დილის სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 23 ივლისი. (საქდესი). ტრიბუნალის 23 ივლისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ პაპენის დამცველის ადვოკატ კუბუშოკის სიტყვა. ადვოკატი ცდილობს პაპენის როლი ავსტრიის დაპყრობის მომზადებაში განსაზღვროს მხოლოდ ბრალდებულის მონაწილეობით შუშნიგისა და ჰიტლერის მოლაპარაკებაში და ისიც მხოლოდ მეთვალყურის სახით. ადვოკატი მოკლედ შეჩერდა პაპენის საქმიანობაზე თურქეთში და დასასრულ სთხოვა ტრიბუნალს უდანაშაულოდ სცნოს პაპენი მისთვის წაყენებულ ბრალდებებში.

დილის სხდომაზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ადვოკატმა ფლეშნერმა ბრალდებულ შპეერის დასაცავად. ადვოკატი აცხადებს, თითქოს შპეერს არ უნდა წარედგინოს ბრალდება მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულობაში.

ნიურნბერგი, 23 ივლისი. (საქდესი). საღამოს სხდომის დასაწყისში ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორენსი აქვეყნებს ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ბრალდებულების მიერ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის თაობაზე. ტრიბუნალს მიაჩნია, ამბობს ლორენსი, რომ, თუ ბრალდებულებს სურთ რაიმე განცხადება გააკეთონ, ისინი უნდა შეეხონ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მათ წინათ გამოსტოვეს. ბრალდებულებს ნება არ მიეცემათ გაიმეორონ ის სიტყვები ან შეკითხვები, რომლებიც წინათ წარმოსთქვეს ან შეიტანეს მათ თუ მათმა დამცველებმა. ისინი უნდა დასჯერდნენ მხოლოდ მოკლე შენიშვნებს ან განცხადებებს და არ შეეხონ იმ საკითხებს, რომლებსაც მათი დაცვა ეხებოდა.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა ადვოკატ ფლეშნერს ბრალდებულ შპეერის დასაცავი სიტყვის განსაგრძობად. იგი ცინიკურად ამტკიცებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტოდტის ორგანიზაციაში სამუშაოდ ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი გამოყენება მიმართული იყო „თვით მომუშავეთა სასარგებლოდ". გერმანიის სამხედრო მრეწველობაში საკონცენტრაციო ბანაკების პატიმართა გამოყენებას ადვოკატი იმით ამართლებს, რომ ასეთი ღონისძიებანი გერმანიაში ძველთაგანვე ტარდებოდა.

ტრიბუნალის თავმჯდომარე პულტთან იწვევს ბრალდებულ ნოირატის დამცველს ადვოკატ ლუდინგჰაუზენს.

დამცველის სიტყვის დამთავრება გადატანილია 24 ივლისის დილის სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 24 ივლისი. (საქდესი). დღეს დილის სხდომის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ტრიბუნალი განიხილავდა დაცვის შუამდგომლობებს სასამართლოში დანაშაულებრივ ორგანიზაციათა საქმეების გამო მოწმეთა გამოწვევის შესახებ. ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ჯვარედინი დაკითხვისათვის სასამართლოში გამოწვეულ იქნან მთელი რიგი მოწმეები.

ამის შემდეგ ნოირატის დამცველმა ადვოკატმა ლუდინგჰაუზენმა განაგრძო თავისი სიტყვა, რომელიც წინა სხდომაზე დაიწყო. დამცველი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს 1935-1936 წლებში გერმანია მშვიდობისმოყვარე მისწრაფებებით ხელმძღვანელობდა. ნამდვილი გარემოების ის დამახინჯება დამცველს იმისათვის დასჭირდა, რომ „დაესაბუთებინა" თავისი განცხადება იმის შესახებ, თითქოს ნოირატს მონაწილეობა არ მიეღოს აგრესიული ომების დაგეგმვაში.

დამცველის სიტყვის დამთავრება გადატანილია საღამოს სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 24 ივლისი. (საქდესი). ტრიბუნალის 24 ივლისის საღამოს სხდომაზე თავისი სიტყვა დაამთავრა ადვოკატმა ლუდინგჰაუზენმა, რომელიც ბრალდებულ ნოირატს იცავს.

ადვოკატმა ტრიბუნალს სთხოვა გაამართლოს ნოირატი.

შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ბრალდებულის სკამზე მჯდომი უკანასკნელი მთავარი გერმანელი სამხედრო დამნაშავეთაგანის—ფრიჩეს დამცველს.

ნიურნბერგი, 25 ივლისი. (საქდესი). ტრიბუნალის დღევანდელი დილის სხდომა იწყება იმით, რომ ცხადდება ტრიბუნალის გადაწყვეტილება ბრალდებულ ჰესის დამცველ ადვოკატ ზაიდლის სიტყვის გამო.

ვინაიდან ზაიდლმა არაერთხელ უგულებელჰყო ტრიბუნალის მითითება, რომ მსჯელობის საგნად არ უნდა იქნას გადაქცეული თვისი ვერსალის ხელშეკრულების უსამართლობის შესახებ, ტრიბუნალმა მისი სიტყვიდან ამოშალა ის პუნქტები, რომლებიც საწინააღმდეგო აზრს იწვევენ.

ამის გამოცხადების შემდეგ ბრალდებულ ფრიჩეს დამცველი შეუდგა თავისი მარწმუნებლის დასაცავი სიტყვის განგრძობას.

დამცველი ყოველნაირად ცდილობს შეამციროს ფრიჩეს მნიშვნელობა და ადგილი ჰიტლერული პროპაგანდის სისტემაში. იგი სთვლის, რომ ფრიჩეს ბრალდება „ძლიერ გაზვიადებულია" და დასასრულ აცხადებს, რომ მისი მარწმუნებელი თითქოს არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც შეთქმულების მონაწილე და ამიტომ გამართლებულ უნდა იქნას.

„მანჩესტერ გარდიანი" ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ლონდონი, 25 ივლისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის" მიერ გუშინ გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიას, რომელშიც გაზეთი აკრიტიკებს შეერთებული შტატების პოლიტიკას ჩინეთში. გაზეთი სწერს, რომ შეერთებულ შტატებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი წილი პასუხისმგებლობისა შექმნილი მდგომარეობისათვის, ვინაიდან ისინი „ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ ჩინეთის ცენტრალურ მთავრობას ომის განმავლობაშიც და მისი დამთავრების შემდეგაც. რა მიუდგომლობის გამოჩენასაც არ უნდა ცდილიყო გენერალი მარშალი, მან ვერ შესძლო დაემალა ის ფაქტი, რომ გომინდანის არმიები გაწვრთნეს ამერიკელმა ოფიცრებმა, რომ ეს ჯარები შეიარაღებულია ამერიკის იარაღით და რომ ისინი ხშირად გადაჰყავდათ ამერიკის ხომალდებითა და თვითმფრინავებით. ცენტრალური მთავრობის თვით არსებობა დიდი ხანია ამერიკის ფინანსურ დახმარებაზეა დამოკიდებული".

„ასეთი პოლიტიკა,—განაგრძობს გაზეთი, — შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, მას რომ შედეგად მოჰყოლოდა კომუნისტებთან ზავი და ერთგვარი პროგრესი დემოკრატიის გზაზე. მაგრამ ეს არ მოხდა".

აკრიტიკებს რა ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში, გაზეთი დასასრულ სწერს, რომ ძნელი იქნება გამართლებულ იქნას ამერიკის ჯარების ყოფნა ჩინეთში, „თუ ამის შედეგი თორმეტი თვის შემდეგ იქნება მხოლოდ სამოქალაქო ომი, რომელიც კვლავ გრძელდება, და ეკონომიური ქაოსი".

უმუშევართა დემონსტრაცია იტალიაში

რომი, 24 ივლისი. (საქდესი). 22 ივლისს მილანის ცენტრალურ ქუჩებში უმუშევრებმა დემონსტრაცია მოაწყეს. ქალაქის ბევრ რაიონში მოძრაობა შესწყდა, მაღაზიები დახურეს. გაფიცვის ხელმძღვანელთა კომიტეტმა ხელისუფლებას მოსთხოვა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები უმუშევრობის სალიკვიდაციოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ მოაწყობს ქალაქის ყველა მშრომელთა სოლიდარობის გაფიცვას. უმუშევართა მღელვარება გრძელდებოდა აგრეთვე ფლორენციაში და იტალიის სხვა ქალაქებში.

მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(მეოთხე წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვების მეორმოცე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1946 წლის 10 ივლისს ქალაქ მოსკოვში. მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვების) მეორმოცე ტირაჟში მოგებანი ხვდათ წაუგებელი გამოშვების ყველა 200 თანრიგის სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
00021	1—50	150	10199	35*)	500
00065	28*)	500	10222	1—50	150
00066	1—50	200	10272	24*)	500
00147	10*)	500	10288	08*)	1000
00192	10*)	500	10450	22*)	500
00258	34*)	500	10797	24*)	500
00334	47*)	500	10938	1—50	200
00380	30*)	500	10958	25*)	500
01160	41*)	500	11080	49*)	500
01207	33*)	500	11526	1—50	150
01208	45*)	500	11591	04*)	500
01284	1—50	200	11618	1—50	150
01417	1—50	150	11726	1—50	150
01523	10*)	500	12131	15*)	500
01664	14*)	500	12137	1—50	150
01682	1—50	200	12167	1—50	200
01784	21*)	500	12295	1—50	200
02080	39*)	500	12301	1—50	150
02638	46*)	500	12337	1—50	150
02953	45*)	500	12651	28*)	500
02969	1—50	150	12753	40*)	500
03035	1—50	150	12780	01*)	500
03446	23*)	500	12853	15*)	500
03504	39*)	500	12874	1—50	150
03558	1—50	150	13103	1—50	200
03581	1—50	150	13255	1—50	200
03607	1—50	200	13288	42*)	500
03631	1—50	150	13372	1—50	150
03674	35*)	500	13501	1—50	200
03866	1—50	150	13511	47*)	500
03885	24*)	500	13549	02*)	500
04135	43*)	500	13590	1—50	150
04143	42*)	500	13618	1—50	200
04355	1—50	150	13681	1—50	150
04462	1—50	150	13717	26*)	500
04465	1—50	150	13870	1—50	200
04641	1—50	200	13922	1—50	200
04769	27*)	500	14016	48*)	500
04819	1—50	150	14064	44*)	1000
05064	29*)	500	14138	1—50	150
05124	12*)	1000	14166	22*)	500
05273	1—50	150	14243	1—50	150
05283	1—50	150	14285	1—50	150
05365	42*)	500	14389	08*)	500
05488	1—50	200	14444	1—50	150
06035	28*)	500	14557	1—50	150
06075	32*)	500	14732	24*)	500
06322	1—50	150	14779	17*)	500
06344	28*)	500	14840	08*)	500
06389	47*)	500	14943	39*)	500
06465	1—50	200	15103	19*)	500
06544	23*)	500	15142	34*)	500
06627	20*)	500	15150	01*)	500
06639	04*)	500	15156	1—50	150
06752	17*)	500	15160	1—50	150
06757	48*)	500	15163	13*)	500
06798	1—50	200	15182	1—50	200
07002	1—50	150	15261	44*)	500
07061	1—50	200	15267	37*)	500
07112	21*)	500	15909	39*)	500
07389	21*)	500	15969	38*)	500
07477	1—50	150	15983	16*)	500
07572	1—50	150	16063	1—50	150
07595	21*)	500	16121	15*)	1000
07718	1—50	200	16156	1—50	150
07755	41*)	500	16320	47*)	500
07808	34*)	500	16487	27*)	500
07815	1—50	150	16817	1—50	150
07829	27*)	500	16936	29*)	500
07866	04*)	500	16963	1—50	150
07968	05*)	500	17180	1—50	150
08017	1—50	150	17217	1—50	200
08020	39*)	500	17272	44*)	500
08038	1—50	150	17433	1—50	200
08057	16*)	500	17550	17*)	500
08071	08*)	500	17586	1—50	150
08089	20*)	500	17628	23*)	500
08175	1—50	200	17703	50*)	500
08184	1—50	150	17813	43*)	500
08201	13*)	500	17844	1—50	150
08282	48*)	500	18088	29*)	500
08331	07*)	500	18097	1—50	150
08457	1—50	200	18141	1—50	150
08532	36*)	500	18343	1—50	150
08606	1—50	150	18468	1—50	200
08612	50*)	500	18528	1—50	200
08863	1—50	200	18592	28*)	500
08881	50*)	500	18662	1—50	200
09089	1—50	150	18810	1—50	150
09090	06*)	500	19133	43*)	1000
09158	22*)	500	19321	03*)	500
09395	1—50	150	19429	41*)	500
09591	36*)	500	19430	23*)	500
09913	1—50	200	19465	1—50	200
09943	1—50	150	19588	1—50	150
09957	1—50	150	19964	1—50	150
10189	11*)	3000	19994	08*)	500

*) ამ სერიის ყველა დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთის მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
დ. გ. შმაკოვი
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი
მდივანი მ. ნ. კალუგინა

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

27 ივლისს: ფილარმონიის საზაფხულო თეატრი—„მარიცა", ახუნდოვის სახელობის — „ვისი ქორწილი".

კინოებში

27 ივლისს: რუსთაველის სახელობის და კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „დიდი ვალსი". დამკვრელი (საზაფხულო) — „ორი მებრძოლი", (ზამთრის) — „ბალერინა". ოქტომბერი — „სილვა". ხპარტაკი — „ვოლგა-ვოლგა". ლუქსემბურგის სახელობის — „უმილვესი ჯილდო". 26 კომისრის სახელობის — (საზაფხულო) — „დავით გურამიშვილი", (ზამთრის) — „მეორე ქალი და მეუღლე". ვოროშილოვის სახელობის — „არშინ მალ-ალან".

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1946-47 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. საკომპოზიციო ფაკულტეტი (საკომპოზიციო და საგუნდო სადირიჟორო განყოფილება), 2. ისტორიულ-თეორიული ფაკულტეტი (ისტორიული და თეორიული განყოფილება), 3. საფორტეპიანო ფაკულტეტი, 4. ვოკალური ფაკულტეტი, 5. საორკესტრო ფაკულტეტი (სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტების განყოფილება).

განცხადებების მიღება სწარმოებს 15 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 20 აგვისტოდან 29 აგვისტომდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას კონსერვატორიის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) მუსიკალური ათწლედის ან მუსიკალური სასწავლებლის ატესტატი (დედანი) ან ცნობა მუსიკალური სასწავლებლის სამი კურსის დამთავრების შესახებ; გ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), დ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), ე) სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სანტიმეტრი, 3) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის), ზ) ცნობა სახლმმართველისაგან.

კონსერვატორიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8. დირექცია

მოქალაქე ალექსანდრე ივანეს-ძე ხანაკოევმა, მცხოვრებმა ვარდისუბნის ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე მარგარიტა ივანეს-ასულ ხანაკოევასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება ბაბუცა ხევერიანის-ასულ ხალაჯიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/VII, 6 ს. ქ. ცხაკაიას, გამოსვენება რუსთაველის II შესახვევი, 2.

ოჯახი იუწყება იოსებ (ესე) ელიზბარის-ძე ქერქაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/VII, ს. ხიდისთავში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და ხაბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, კოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მთრიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00183